# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 დეკემბერი, 2014 წელი.

№246 (7626)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## დღეს ნომერში


თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის



13

შეცდომების საილუსტრაციო ქალაქი?!



11

ცხოვრება საცობში



4


*საკაშვილის სინდრომი რომ არ ამოიძირკვა (უფრო კი, გალაღდა!) საქართველოში, ეს ვიკითხოთ, თორემ ობამებსა და მერკელებს თავიანთი გამკითხველები სულ მალე თუ არა, როცა იქნება, გამოუჩნდებიან. ჩვენ რა გვეშველება, ჩვენ, როცა ქვეყნისთვის თავდადებულ კაცს, უშიშარ მებრძოლს პატიმრობას უსჯიან და ის კი, ვინც ტელეეკრანიდან, მაგრად დაცულ კაბინეტში მოყუჩებული „ვაჟკაცურად“ გვემუქრებოდა და გვაგინებდა, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ზის და სრულიად მოურიდებლად დასცინის ქართველ ხალხს.*

# სააკაშვილის სინდრომი




3

4

## არამ საფარიანი:
## საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა სომხეთისთვის

## „ირანის ფაქტორი“ და თბილის-სოხუმის რკინიგზის აღდგენა

5

# „ვთხოვ ბანკის ხელმძღვანელებს, ზამთარში მაინც ნუ დატოვებენ ხალხს უბინაოდ“



უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ ტაძარში შეკრებილ მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული მიულოცა.

**„ტაძარი ეს არის კარიბჭე სასუფეველთან. ბედნიერია ის ადამიანი და ოჯახი, რომელიც დგას ამ კარიბჭის წინ, ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც გრძნობს ტაძრის მნიშვნელობას. ტაძარში განსაკუთრებული მადლი ტრიალებს, მადლი სულისა წმინდისა. მე მახსენდება როდესაც ვიწყებდით წმინდა სამების ტაძრის მშენებლობას, როდესაც ჩვენ ტაძრის ასაშენებლად ამოვიღეთ ღრმული, ბევრი ფიქრობდა, რით უნდა ამოვსებულიყო ეს ღრმული, შევძლებდით თუ არა ტაძრის მშენებლობას. ჯერ კიდევ არაფერი არ იყო და ჩვენ ვგრძნობდით, რომ იმ ადგილზე განსაკუთრებული მადლი ტრიალებდა. ხალხს წასვლაც კი არ უნდოდა იქიდან. ღმერთმა ამოავსო და აგვიშენა ეს ტაძარი და ამასთან ერთად — ჩვენმა ხალხმა. საერთოდ, რასაც აკეთებს ადამიანი, ეს არის მისი ავტოპორტრეტი, ეს იმას ნიშნავს, რომ სულიწმინდის ძალა უხვად არის გადმოსული საქართველოზე. ყოვლადწმინდა სამების ტაძარი უფალმა აგვაშენებინა“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ქადაგებისას გაჭირვებულ ხალხზეც ისაუბრა. უწმინდესმა აღნიშნა, რომ საპატრიარქოში მასთან ხშირად მიდიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ბანკში სესხის გამო სახლები დაკარგეს.

**„მინდა, გაჭირვებული ხალხის მდგომარეობას შევეხო. ხალხმა ბანკებში სესხები აიღეს და სახლები ჩადეს. ბანკს გამოყავს სახლიდან და ამ შუა ზამთარში ისინი გარეთ რჩებიან. ვთხოვ ბანკის ხელმძღვანელებს, ზამთარში მაინც ნუ გააკეთებენ ამას. მოდიან შემდეგ ეს ხალხი საპატრიარქოში და ამის გამო ტირიან. ვთხოვთ ბანკების ხელმძღვანელებს დაეხმარონ, აპატიონ ან სახლი არ იყოს გაყიდული“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

**უწმინდესი ქადაგებისას ბოლო პერიოდში მოსახლეობაში გამოვლენილ აგრესიასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ხალხს აგრესია მოედო და მათთვის სიმშვიდე და მოთმინება ითხოვა უფლისგან.**

## კომუნისტთა დროინდელი კანონები უნდა გვენატრებოდეს?!

6

## ევროპული სიბრიყვეები ვინ გამოიყენებს ისტორიულ შანსს?



6

## თურქებმა მტკვარი გადაგვიკეტეს

*ასპინძის რაიონის სოფლებში მტკვრის წყალს სარწყავად იყენებენ. უხუცესები ამბობენ, რომ წყლის დონის ასეთი კლება არ ახსოვთ. ადგილობრივები მოსალოდნელ ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობენ და შიშობენ, რომ მტკვრის დონის საგანგაშო კლება მორწყვის პრობლემას გამოიწვევს და მათი სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.*



2

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ბიძინა ივანიშვილი: მე არ მაქვს ბერკეტი, უსუფაშვილი, ღარიბაშვილი ან პარლამენტი ვმართო



**როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, კულისებიდან მართვა შეუძლია მას, ვისაც აქვს ამის ბერკეტი.**

„ვინც იცის, რა არის სახელმწიფოს კულისებიდან მართვა, მას უნდა ჰქონდეს ამის ბერკეტი, მე ეს ბერკეტი არ გამაჩნია. ამის მაგალითი გახლავთ პრეზიდენტი, რომელმაც არ მოისურვა ჩემთან ურთიერთობა. მე არ მაქვს ბერკეტი უსუფაშვილი, ღარიბაშვილი ან პარლამენტი ვმართო. არც ჩანაწერებს ვფლობ და არ გაქვთ ალბათ ამაზე ეჭვი. არც არანაირი ბერკეტი გამაჩნია, არც ნათესაური. ვისაც მოესურვება, შევა პოლიტიკაში, ეს აბსოლუტურად მიღებულია. რჩევებშიც ვერ მივიღებ მონაწილეობას, საწყენია როდესაც გუშინდელი პარტნიორები ასეთ განცხადებას აკეთებენ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

აღნიშნული კომენტარი ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტების მიერ ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში წასვლასთან დაკავშირებული შეკითხვის საპასუხოდ გააკეთა.

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მთავრობის ყოფილი წარმომადგენლების უკრაინაში თანამდებობებზე დანიშვნას ეხმაურება.

„მე არ ვთვლი, რომ ამით უკრაინასთან ურთიერთობა გაფუჭდება. თეორიულად, ჩვენ უნდა მივესალმოთ ჩვენი ყველა მოქალაქის წარმატებას, სადაც არ უნდა იყოს. გასაგებია ის ემოციური დამოკიდებულება, რაც საქართველოში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და რაზეც ბოლო დროს განხილვა მიდის. ის, რომ თანამდებობებზე დაინიშნენ ისინი, ვისაც საქართველოში წარმატებისთვის არ მიუღწევია, რა თქმა უნდა, მეც ვუსურვებდი მათ, რომ შეცდომები, რაც მათ საქართველოში დაუშვეს, უკრაინაში აღარ გაემეორებინათ და იქ ჭეშმარიტი არაფორმალური, არაყალბი წარმატებისთვის მიეღწიოს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**— ირაკლი ალასანიას პრობლემები ჰქონდა მენეჯმენტში და არაერთხელ მქონია მასთან ამაზე საუბარი, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის იმ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ირაკლი ალასანიას მხრიდან მისთვის „სულმოკლე ადამიანად“ შეფასებას შეეხებოდა.**

— ნაციონალური მოძრაობიდან დაწყებული თემაა, ყველა მათგანი ამას აცხადებს. მე ამას სერიოზულად აღარ ვღებულობ. ასეთ უმეცარ გამონათქვამებისთვის არასდროს არ მიპასუხია. მსგავსი გამონათქვამი გააკეთა პრეზიდენტმა, მას ძალიან მოკლედ ვუპასუხე. ვინც ამას ამბობს, თუ ამას სერიოზულად ფიქრობს, მან არ იცის რა არის მართვა, არ იცის რა არის მენეჯმენტი, მე არ მინდა კრიტიკას კრიტიკით ვუპასუხო, მაგრამ ირაკლი ალასანია იყო ის პიროვნება და ის მინისტრი, რომელსაც მე ვიცნობ დიდი ხანია. სწორედ რომ პრობლემები ჰქონდა მენეჯმენტში და მე არაერთხელ მქონია მასთან ამაზე საუბარი, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ალასანიას არჩევნების პერიოდი შეახსენა.

„არჩევნების დროს ირაკლი ალასანიას სამეგრელოს რეგიონი ჰქონდა ჩაბარებული. მისივე ინიციატივით, ეკა ბესელიამ კი მოისურვა, რომ ფოთში ის ყოფილიყო და ეს რეგიონი ალასანიას არ დაქვემდებარებოდა. ეკა ბესელიამ გაიმარჯვა კიდეც, ყველგან წავაგეთ სამეგრელოში. ამ დროს რეგიონი იყო მომართული და ეს ზუგდიდის აქციამაც აჩვენა. მათ განწყობაც ჰქონდათ და ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით, თუმცა, ვერ გაიმარჯვა ვერც ერთ ადგილას, ამავდროულად ვერც ერთი დარღვევა ვერ დააფიქსირა. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ შეკითხვები მაქვს სამეგრელოსთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მიზეზი წარუმატებლობისა, სუსტი მენეჯმენტის და კიდევ რალაცების ბრალი შეიძლება იყოს. ასეთი უაზრო გამონათქვამების შემდეგ ვახსენებ ირაკლი ალასნაიას ამ ყველაფერს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

SIC!

# თურქებმა მტკვარი გადაგვიკეტეს

**ასპინძის რაიონის მოსახლეობა სარწყავი წყლის გარეშეა დარჩენილი. მტკვარი, რომელიც ადგილობრივებისთვის წყლით მომარაგების ერთადერთი საშუალება იყო, თითქმის დამშრალია. მდინარის დონე ასპინძის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში 90 პროცენტით შემცირდა.**

როგორც მოსახლეობა აცხადებს, თურქეთის საზღვრიდან, ვიდრე სხვა შენაკადები შეურთდებოდეს, მტკვარი აღარ მოდის, აღარ არსებობს! მის ადგილზე მხოლოდ გუბეებია დარჩენილი. იმ ტერიტორიიდან კი, სადაც მტკვარს მარცხნიდან პატარა მდინარეები: დუმელია და ბუზმარეთი უერთდებიან, ხოლო მარჯვნიდან — ხავეთი და ოკამი, მტკვრის კალაპოტში უკვე წყალი მიდის, მაგრამ ძველებურ დიდ მდინარეს არ ჰგავს. მცხეთასთან და თბილისთან ახლოს, შენაკადების გამო, მდინარეს პრობლემა არ შექმნია.



სამცხე-ჯავახეთში მტკვრის დაშრობის ზუსტ მიზეზებზე ჯერ მსჯელობენ. გარემოსდამცველები ორ ვერსიას განიხილავენ. ერთი ვერსიის მიხედვით, თურქეთის ტერიტორიაზე წყალსაცავის მშენებლობა მიმდინარეობს და წყლის დიდი ნაწილი სწორედ მის შესავსებად გამოიყენება. მეორე ნაწილი შექმნილ მდგომარეობას ბუნებრივ კატასტროფასაც უკავშირებს.

მტკვრის დონის კლებას საგანგაშოს უწოდებენ გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები. ორგანიზაცია „აწყურის“ თავმჯდომარის ნანა ნათენაძის ინფორმაციით, მტკვრის დაშრობა დიდი ზიანს მიაყენებს რეგიონის ეკოსისტემას და მათ ბინადართ. მდინარის დაშრობის პროცესის გახანგრძლივება კი ძალიან სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევს. ნათენაძე მონიტორინგის ჯგუფის შექმნას მოითხოვს, რათა გაირკვეს რა მოხდა სინამდვილეში.

მდინარე მტკვარში წყლის დონის კლებას ადასტურებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროც და კონკრეტულ მიზეზსაც განმარტავს.

მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, თურქეთის სატყეო და წყლის რესურსების მინისტრს ეროღლუს წერილი გაუგზავნა.

„თურქული მხარე განმარტავს, რომ ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს საზღვრიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარე „ქაიაბეის“ კაშხლის შევსება ზამთრის სეზონისათვის, რამაც მტკვარში წყლის დონის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. აღნიშნულის შესახებ, თურქულმა კერძო კომპანიამ, დროულად არ აცნობა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რის გამოც დაგვიანდა ქართული მხარის ინფორმირება თურქეთის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრიდან წყლის რესურსის გამოყენების შესახებ.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მკაცრად მიუთითა თურქული კერძო კომპანიის პასუხისმგებელ პირებს, დაიცვან შესაბამისი ნორმები წყალაღებასთან დაკავშირებით და მოგვცა პირობა, რომ მომავალში ამგვარი გაუგებრობა აღარ განმეორდება. ხოლო, ქართულ მხარეს დაუყოვნებლივ ეცნობება ნებისმიერი სამუშაოების შესახებ, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მტკვარში წყლის დონეზე. გამომდინარე საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობიდან, ამჟამად მზადდება მემორანდუმი, რომელიც გამორიცხავს მომავალში ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებას“, — აცხადებენ სამინისტროში.

თურქული მხარის ინფორმაციით, წყლის მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე ნორმალურ დონეს დეკემბრის შუა რიცხვებისთვის დაუბრუნდება.

„ამასთან, აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რომ მდინარე მტკვარი საქართველოში იმატებს იმაზე მეტ რესურსს, ვიდრე შემოდის თურქეთიდან. შესაბამისად, წყლის დონის დროებითი შემცირება არ იწვევს სერიოზულ რისკს. მიუხედავად, ამისა, სამინისტრო განუწყვეტლივ აწარმოებს მონიტორინგს და ნებისმიერი ცვლილების შესახებ უმალვე ამცნობს საზოგადოებას“, — აცხადებენ სამინისტროში.

ასპინძის რაიონის სოფლებში მტკვრის წყალს სარწყავად იყენებენ. უხუცესები ამბობენ, რომ წყლის დონის ასეთი კლება არ ახსოვთ. ადგილობრივები მოსალოდნელ ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობენ და შიშობენ, რომ მტკვრის დონის საგანგაშო კლება მორწყვის პრობლემას გამოიწვევს და მათი სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

**ბექა დანელია**

# აკი, ნატოს კარი ღიააო?!

**ახლა არ არის საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ნატოში გაწევრიანებაზე საუბრის დრო, — ამის შესახებ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკმა განაცხადა. ინფორმაციას ამის შესახებ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ავრცელებს.**



ელმარ ბროკის განცხადებით, ნატოს ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ყველა წევრი ქვეყნის სანდო დაცვის მიზნით ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება.

„უმჯობესია, მხარი დავუჭიროთ პოლიტიკური და ეკონომიკურ რეფორმებს, ასევე საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში უსაფრთხოების სტრუქტურების რეფორმას, რათა ეს ქვეყნები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და საგარეო ბაზარზე მათი ინტეგრაცია მოხდეს. დებატები ამ ქვეყნების ნატოს წევრობაზე კონტრპროდუქტიულია“, — განაცხადა ელმარ ბროკმა.

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ნატოს გაფართოების გადაწყვეტილება არა მხოლოდ თითოეული ქვეყნის სუვერენული გადაწყვეტილებაა, არამედ მას სჭირდება ალიანსის ყველა წევრი ქვეყნის მხარდაჭერა. მისივე განმარტებით, ყოველმა გაფართოებამ უნდა გააძლიეროს ალიანსის თანმიმდევრულობა და თავდაცვითი შესაძლებლობები.

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ელმარ ბროკის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ახლა არ არის დრო მოლდოვას, საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხის გახილვის.

როგორც ჯეიმს აპატურაიმ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისი კომპეტენცია არ არის კომენტარი გააკეთოს ევროპარლამენტარის წარმომადგენლის განცხადებაზე.

აპატურაიმ მოკლედ მიმოიხილა სამივე ქვეყნის ნატოს-სთან ურთიერთობის კუთხით არსებული ვითარება.

„მოდით ასე ვთქვათ — მოლდოვა ნეიტრალური ქვეყანაა და მას ნეიტრალურობის სტატუსის შეცვლაზე გეგმები არ გააჩნია. იქ არ დგას ნატოს წევრობის საკითხი. უკრაინას რაც შეეხება, ნათლად და გამოკვეთილად არც მას მიუთითებია, რომ იგი უახლოეს მომავალში ნატოსკენ იმოძრავებს. უფრო მეტიც, უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ პირველი პრიორიტეტი ქვეყანაში რეფორმების გატარებაა. ჩვენ ვიზიარებთ მის ამ გამონათქვამს და ვთვლით, რომ მათი პრიორიტეტი რეფორმებია და დახმარებასაც გავუწევთ.

რაც შეეხება საქართველოს, აქაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ განსხვავებული თვალსაზრისით. ბუქარესტის გადაწყვეტილება ძალაში რჩება, ეს არის ნატოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. არსებითი პაკეტი, რომელიც საქართველოს გადმოეცა, თავისი სტრუქტურით და არსით შედგენილია იმისთვის, რომ საქართველოს გაუწიოს დახმარება გაწევრების გზაზე“, — განაცხადა აპატურაიმ.

მისივე თქმით, ამ კონტექსტში შეიძლება ელმარ ბროკი გარკვეულწილად სწორ განცხადებას აკეთებს, რადგან ამ ეტაპზე წევრობაზე საუბარი არ მიდის.

# სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება

**როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, პირველი სემესტრის სასწავლო პროცესი 29 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება, არდადეგები კი 30 დეკემბერს დაიწყება. და 14 იანვარს დასრულდება. სასწავლო პროცესი 15 იანვრიდან აღდგება.**

**როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, არდადეგები საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლაში ერთდროულად გამოცხადდება და ყველა კლასს მოიცავს.**

რეპლიკა

# სწორედ რომ საოცარია!

**ნუთუ 45-მილიონიან უკრაინაში სამინისტროდ არ მოიძებნა პროფესიონალი, ღირსეული მოქალაქე? როგორ ავხსნათ თქვენი მოქმედება, ძვირფასო უკრაინელებო, როცა უმძიმესი დანაშაულით ბრალდებულს მიხეილ სააკაშვილს და მისი მთავრობის წევრებს ზარ-ზეიმით ღებულობთ და მაღალ თანამდებობებს სთავაზობთ. ნუთუ არ იცით სააკაშვილის მიერ უდანაშაულო ადამიანთა სასტიკი წამების, ჩახოცვის, ღირსების შელახვის, ძალადობის, ტყუილის, სამთავრობო კორუფციის დამკვიდრების, ტელეარხების დარბევის ფაქტები?**

**ნუთუ არ იცით, რომ სწორედ მათი სრულიად უაზრო, ქვეყნისთვის დამღუპველი საგარეო პოლიტიკით დავკარგეთ ტერიტორიების 20 პროცენტი, 140 სოფელი. მტერს ჩავაბარეთ ახალგორი და კოდორი. საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა ათიათასობით ადამიანი, თავიანთი ეგრეთ წოდებული რეფორმებით გააჩანაგეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, დააცარიელეს სოფლები, გლეხებს მიწები გაუყიდეს, გააღატაკეს მოსახლეობა. თუ ყოველივე ეს არ იცით, ცუდია, მაგრამ თუ იცით — მით უარესი!**

**თქვენი მოქმედება თქვენი მეგობარი ქვეყნის — საქართველოს მიმართ სწორედ რომ საოცარია. დაფიქრდით!...**

**ლონდა მდივანი**

# მოჰკვლია პატრონი!

**იმ ადამიანებს, ხალხი რომ ჰქვია, ე. წ. პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ნაცბანდა ჭირის დღესავით სძულდათ და სძულთ დღესაც. ამ სიძულვილმა გააერთიანა ისინი 2012-ში და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ბიძინა ივანიშვილის დაძახილზე საძულველ მმართველ ბანდას, ანუ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირველი ოქტომბრის არჩევნებში. ნაცბანდის უცხოელი პატრონების თავგამოდებული ქომაგობა რომ არა, საქართველოს პარლამენტში ერთ საცოდავ ფრაქციასაც ვერ შექმნიდნენ ნაცები, მაგრამ...**

ჯერ იყო და ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებში გამარჯვებისთანავე ისეთი რამ განაცხადა, წესით და რიგით, ძალიან უნდა გავჯავრებულიყავით. რა თქვა ასეთი? რა და, ნაცებს ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, ჩვენ რომ გვეკადრებაო. არ გავჯავრდით იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, გამარჯვების ეიფორიაში ვიყავით და, მერე, ისიც გაგვახსენდა, რომ „გმირთა წესია ლმობიერება, წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა“. აი, ეიფორიამ რომ გაიარა, მერე გავაცნობიერეთ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ნათქვამის ნამდვილი შინაარსი და მივხვდით, რომ, თუ ყველას ისე არ მოექეცი, როგორც იმსახურებს, ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრებაზე ლაპარაკი წყლის ნაყვა და ფუჭი ლაყბობაა მხოლოდ.

ისე მოვექცევით, როგორც ჩვენ გვეკადრებაო! ჩვენ რა, ის გვეკადრება, ხაზინის ქურდები და ხალხის მწამებლები,მამულის გამყიდველები და წინაპართა ხსოვნის წამბილწველები მორჭმით დავსვათ ხალხის რჩეულთა სკამებზე და მათი ბრიყვული სიბრძნე ვისმინოთ ტელეეკრანებიდან?

ერიჰაა! სწორედ ამაზეა ნათქვამი, ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო.

მერე და მერე უარესებიც მოვისმინეთ იმათგან, ვინც ჩვენი ძალისხმევით დავისვით უფროსებად და წინამძღოლებად. ჩვენი ამოცანა ნაციონალური მოძრაობის გადარჩენააო, — მოგვახალა ჩვენს მიერ გადიდკაცებულმა ერთმა პატარა კაცმა. ეგ ჩვენი ამოცანა არ ყოფილა და თუ თქვენი ამოცანა იყო, რატომ ადრე არ გვითხარი, შე ერთპროცენტიანი რეიტინგის მქონე პარტიის წარმომადგენელო, შენო, — ვიყვირეთ ჩვენ. მაგრამ რაღა დროს! ამ გააზნაურებულ მდაბიოს, ახლა რომ კუდი ყავარზე კი არა, ოკეანის გაღმა აქვს გადებული, რას უზამ? ხახვი ბევრიც რომ გქონდეს და ალესილი დანაც გედოს ჯიბეში, მის ყურებამდე მაინც არავინ მიგიშვებს.

ეეჰ, იმედის პოვნა ძნელია, თორემ მის დაკარგვას რა უნდა! მერე და მერე ჩვენში ისეთი და იმდენი სამწუხარო რამე მოხდა და კიდევ უფრო ბევრი რამ, სამწუხაროდ, არ მოხდა, რომ ეჭვი შეგვეპარა, ე, მანდ არჩევნებში ნაცებმა ხომ არ გაიმარჯვეს და ჩვენ კი ჩვენი თავი გვგონია გამარჯვებულიო. ხომ ეხერხებათ ნაცებს დამარცხების გამარჯვებად წარმოჩენა, გამარჯვებას დამარცხებად რატომ ვერ წარმოაჩენენ, ვითომ? ქართულ ტელევიზიებს თუ უყურებ, სულ ადვილად დარწმუნდები ამაში. იგივე რიტორიკა, იგივე გეზი, იგივე ნაცარი, რომელიც თავზე აქვს წაყრილი ჩვენს ხელისუფლებას და არც ჩვენი თვალებისთვის იშურებს მას.

ერთხელ ყოფილმა ე. წ. პრეზიდენტმა ნიშნისმოგებით განაცხადა: მე ქართულ პრესას არ ვკითხულობო. ეს რომ ნორმალურ ქვეყანაში ეთქვა იმ ქვეყნის პრეზიდენტს, მაშინვე არანორმალურად გამოაცხადებდნენ მას და იქით გაისტუმრებდნენ, საითაც არანორმალურებს უშვებენ ხოლმე. ამ ჩვენსას კი შერჩა, შერჩა კი არა, მგონი, სააკაშვილის სინდრომის სახით დამკვიდრდა კიდეც ჩვენს პოლიტიკაში. აი, ახლა ასრულდა სწორედ ერთი ძველი, ნიშნისმოგებით ნათქვამი „წერე და იკითხე!“ აბა, მაშინ, როცა ეს ითქვა, სრულიად საპირისპირო მდგომარეობა იყო. გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებს გულდასმით კითხულობდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და რეაგირების გარეშე ვინ დატოვებდა მას? სწორედ მაშინ იყო პრესა მეოთხე კი არა, სულაც მეორე ხელისუფლება. ახლა კი აღარც მეოთხეა და აღარც ოცდამეოთხე. რაც გინდა წერე, ვის გასაგონადაც წერ, ის, მგონი, სააკაშვილის ანდერძის ერთგულია — პრესას არ კითხულობს! შენ კი იფხანე გული და იყავი!

აბა, ასე თუ არ არის, რომ დაუჩემებია ამ ხელისუფლებას ევროატლანტიკური არჩევანი ჩვენი ხალხის არჩევანიაო, გაზეთებს არ კითხულობენ? ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი ლაქია გრანტიჭამია, ანუ ძღვენიჭამია „პოლიტოლოგების“ გარდა, ვინ უჭერს მხარს ყბადაღებულ ევროატლანტიკურ ორიენტაციას? საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, ყველა გონიერი, მცოდნე და პატიოსანი ქართველი, ნატოს სამხედრო ბლოკში გაერთიანების სურვილს ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველად მიიჩნევს და საამისოდ ისეთი არგუმენტები აქვთ, რომ მართლა მტერი ან ჭკუიდან გადამცდარი თუ არ ხარ, დაუჯერო უნდა. ესენი კი მაინც „ნატონატოო“ გაიძახიან და გინდათ თუ არა, ევროპაა ჩვენი სახლიო. ჯერ ერთი, იმ სახლში ევროპა, უფრო კი ევროკავშირი რომ ჰქვია, ვინ გიშვებს (კიდევ კარგი!) და თუ შეგიშვეს, რაც კი რამ ზნეობრივი გაქვს, გარეთ უნდა დატოვო. ვის უნდა იმ „სახლში“ შესვლა, სადაც დიდი ზარზეიმით ხვდებიან კაცზე კაცის დაქორწინებას (მტერი არაა მეტი, იმათ კაცები ერქვათ!) და და-ძმისა და დედაშვილს შორის სქესობრივი კავშირი (ღმერთო დაგვიფარე!) ნორმალურად ითვლება. ვის უნდა და გონებრივად, ფიზიკურად და სულიერად ცვედანს! რა უფლება აქვთ ამ ცვედნებს მთელი ხალხის სახელით ელაპარაკონ კაცობრიობას. პიროვნების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად ჩვენ უფლება უნდა მივცეთ მათ, დაირაზმონ, თან თუნდაც ისინიც გაიყოლიონ, ოცლარიან ჰონორარს დახარბებულები მათ მიტინგზე რომ მივიდნენ ტაშის დამკვრელებად 15 ნოემბრის მიტინგზე, წავიდნენ და ტანკში შეუძვრნენ იმ ევროპას, რომლის მზის ჩასვენება ასი წლის წინათ დააფიქსირა დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ ოსვალდ შპერგლერმა. ახლა იქ კუნაპეტი ზნეობრივი ღამეა უკვე!

ევროპელ პოლიტიკოსებს რომ ვუსმენ, პირველ ყოვლისა, იმათ, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ევროპა უბრალოდ ბებერი კი არ არის, როგორც მას თვითონ ე. წ. დასავლეთელები უწოდებენ, არამედ სკლეროზიანი კუანა ბებერია, რომელიც უკვე თავის შვილებსა და შვილიშვილებსაც ვეღარ სცნობს. აბა, რა იყო, ერთ-ერთი ბალტიისპირეთის სახელმწიფოს მეთაური ქალის ამასწინდელი ისტერიული შეკივლება, რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოაო. ჯერ ერთი, რაც იმ ქალის სახელმწიფოა, რუსეთს იმაზე დიდი ერი კი არა, რამდენიმე პროვინციული ქალა-

## სააკაშვილის სინდრომი




ქი აქვს და, მეორე და უმთავრესი: იმ ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა ჩამოკიდებული. იმ ქალს, დავიჯერო, საერთოდ ახსოვს კი თავისი ხალხი? ერთადერთი აზრი აქვს ლურსმანივით ჩაჭედილი თავში: თავი მოაწონოს დასავლეთის იმ დიდრონ ლიდერებს, ანტირუსული განწყობებით რომ გამოიჩინეს თავი. ამ „ტერორისტ“ ქვეყანას მოთმინებამ რომ უმტყუნოს და გაჯავრებულმა ერთი ჩაახველოს, ფეხზე დგომას თუ შეძლებს ის ქალი თავისი ქვეყნიანად, ნეტავი?

სააკაშვილის სინდრომი, რა ვქნა, მარტო ქართული მოვლენა არ არის? იქნებ ევროპასაც ჩვენგან გადაედო ეს მებრძოლი უვიცობა და ლაჩრული „სიამაყე?“ არ ვიცი, არ ვიცი!

ნაცების ხელისუფლება ქვეყნის პატრიოტებსა და უშიშარ მებრძოლებს რომ ვერ იტანდა, ვიცით ყველამ, მაგრამ ახალი ხელისუფლების უპრინციპობის გამო, კოჰაბიტაციას თავშეფარებული ნაცები ისევ ძველებურად რომ ჭრიან და კერავენ, როგორ შევეგუოთ ამას? კაცოო, იკოჰაბიტაციეთ ყოფილ და აწინდელ მიშისტებთან, ჩაეხუტეთ და ლოგინშიც ჩაიწვინეთ თუ გინდათ, მაგრამ კანონსა და სამართალს ისევ იმათ ხელში ტოვებთ?

აგერ ახლახან, ზუგდიდის სასამართლომ თორმეტი წელი მიუსაჯა იცით ვის? კოდორის ხეობასა და საქართველოს დასავლეთის კარიბჭეს რომ იცავდა ვაჟკაცურად, იმ კაცს — ემზარ კვიციანს! მერე არ იკითხავთ რა წაუყენეს ბრალად? სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდაო! საქართველოს მტრების, უცხოტომელთა ყურმოჭრილი მონების ხელისუფლების დამხობა დომია კაცს და ეს რომ ხალხის ხელისუფლება იყოს, გული იმაზე უნდა წყდებოდეს, ჩანაფიქრი რომ ვერ განახორციელა მაშინ და მადლობას უნდა უცხადებდეს. კარგი, დავუშვათ, ზუგდიდელი მოსამართლე პირწავარდნილი ნაცია, მაგრამ საქართველოში ისევ მიშაია პრეზიდენტი ხომ არ არის ქვეყნის გამგებელი! ვიღაც ზუგდიდელ მოსამართლეს როგორ ჩაუგდეს ხელში ეროვნული გმირი!

არა! მგონი, ამ ოხერი სააკაშვილის აჩრდილი ისევ დაძრწის საქართველოში და თავის ბნელ საქმეებს განაგრძობს.

რაც შეეხება ემზარ კვიციანს. ჩვენ ურთიერთნაცნობობა არ გვაქვს, თუმცა, მე მას ვიცნობ, რამდენჯერმე მინახავს, სხვათა შორის, გაჯავრებულიც. მაინცდამაინც შაქარი არ ამოსდის პირიდან, იქნებ არც სალონური მანერები ახასიათებდეს, მაგრამ კაცი მის მიერვე შექმნილი სახალხო ლაშქრით საქართველოს ერთ-ერთ სასაზღვრო ბურჯს რომ დაიცავს თავისი მოსახლეობიანად და ცხვირს არ შემოაყოფინებს იმ მტერს, რომელმაც დანარჩენ საქართველოს კუდით ქვა ასროლინა, ეროვნული გმირია აბა, რა არის?

რად გინდა მერე, მიშას სინდრომით დაავადებულ ადამიანებს ამას როგორ შევასმენ. ისინი ხომ იმათი შეგირდები არიან, რომელთათვისაც „სამშობლო“ საარქივო ექსპონატია, პატრიოტიზმი კი — ატავიზმი.

არა და, კარგა ბლომად ყოფილან ეს ამოსაწყვეტები! ერთმა ძალიან გადიდკაცებულმა მდაბიომ ხომ თქვა ამას წინათ, მე ჩემს შვილს იმას კი არ ვასწავლი სამშობლოს შეწიროს თავიო, არამედ თავისუფალ პიროვნებად ვზრდი და თუ სურს, ვისაც უნდა იმას შესწიროს თავიო. ეს რომ მოვისმინე (თუ წავიკითხე!), გავიფიქრე, ერთი ჩათლახი ყველგან გამოერევა-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი, თურმე. ამას წინათ, ნაცების ერთ-ერთი ტელევიზიით რაღაცა გადაცემას მოვკარი თვალი, დავინტერესდი და ცოტა ხნით შევჩერდი. ამ ხელისუფლების მიერ ერთ-ერთი „დაჩაგრული“ ჩიოდა: მთავრობა არ მეხმარება, უყურადღებოდ მიმატოვესო. არა და, ჩემი შვილი და რძალი გმირულად იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის ომშიო. ახლა სად არიან ისინიო, — ჰკითხა წამყვანმა. ახლა საფრანგეთის ლეგიონში მსახურობენო (დიდი ბოდიშის მოხდით მინდა, განვმარტო: საფრანგეთის ლეგიონი ის სამხედრო შენაერთია, რომელშიც უცხოელი დაქირავებულები მსახურობენ, რომელთათვისაც სულ ერთია ვის წინააღმდეგ იომებენ — ალჟირელებისა თუ ვიეტნამელების, ესპანელებისა თუ ფინელების წინააღმდეგ). ა, ბატონო, ამ კაცს იმ ძალიან მაღალჩინოსანზე ადრე გაუზრდია თავისი შვილი (და რძალი!) მიშაია კოსმოპოლიტის ჭკუაზე.

ისე რომ, იქნება სულაც არ არის სააკაშვილის სინდრომი ის, რომ იმ ხალხის აზრი ფეხებზე გეკიდოს, რომელმა ხალხმაც ხელისუფლება ჩაგაბარა. აგერ ახლახან, ამერიკელი რესპუბლიკელები, რომლებიც ობამას ოპოზიციაში უდგანან (თუმცა, რა განსხვავებაა მათ შორის, ეს, ალბათ, კისინჯერმაც არ იცის!), აღშფოთებულები იყვნენ იმით, რომ ბატონმა ბარაქმა კონგრესის დაუკითხავად გაზარდა სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში და კიდევ სხვა რამეებიც ჩაიდინა, უფლება რომ არ ჰქონდა, ისეთი. დავიჯერო, ობამა, სააკაშვილის გავლენის ქვეშ არის? პირიქით მგონია მე!

ისე, ეს ჩემი გასარჩევი, ალბათ, არ არის, მაგრამ ამ ჩვენი სააკაშვილის სინდრომი რომ არ ამოიძირკვა (უფრო კი, გალაღდა!) საქართველოში, ეს ვიკითხოთ, თორემ ობამებსა და მერკელებს თავიანთი გამკითხველები სულ მალე თუ არა, როცა იქნება, გამოუჩნდებიან. ჩვენ რა გვეშველება, ჩვენ, როცა ქვეყნისათვის თავდადებულ კაცს, უშიშარ მებრძოლს პატიმრობას უსჯიან და ის კი, ვინც ტელეეკრანიდან, მაგრად დაცულ კაბინეტში მოყუჩებული „ვაჟკაცურად“ გვემუქრებოდა და გვაგინებდა, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ზის და სრულიად მოურიდებლად დასცინის ქართველ ხალხს.

დაფიქრდი, ხალხო, მართლა ამ მახინჯების დასაცინი ვართ თუ არა?! თუ ვართ, მაშინ მოჰკვლია პატრონი, ნუღარც პრეტენზია გვექნება რაიმეზე.

**ზურაბ ცუცქირიძე**

◎ ალიანჩალიანი

## ევროპის საბჭო არ აღიარებს რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას

**ევროპის საბჭოს კონგრესის პრეზიდენტი ჟან-კლოდ ფრეკონი რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების გაფორმებას ეხმაურება.**

**როგორც ჟან-კლოდს ფრეკონის განცხადებაშია აღნიშნული, აფხაზეთი საქართველოს რეგიონია და ევროპის საბჭო არ აღიარებს ე.წ. ხელშეკრულებას, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს.**

**„კონგრესის პრეზიდენტი გმობს ხელშეკრულებას, როგორც ერთ-ერთ ფაქტორს ევროპის ამ ნაწილში დესტაბილიზაციისთვის“, — ნათქვამია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის პრეზიდენტის განცხადებაში.**



**აღნიშნულთან დაკავშირებით, კონგრესმა საკუთარი პოზიცია 2014 წლის ოქტომბრის სესიაზე გამოხატა და წევრ-ქვეყნებს მოუწოდა, დაიცვან „საერთაშორისო სამართლის პრინციპები, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და საერთაშორისო აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობა.**

**„პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული ქმედებების გამო, რომელიც ხელს არ უწყობს არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას“, — ნათქვამია განცხადებაში.**

**ინტერპრესი**

**კერძო აზრი**



## არამ საფარიანი:

# საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა სომხეთისთვის

**საქართველო-სომხეთის ურთიერთობები ოფიციალურად მეგობრული და პარტნიორულია. თუმცა, რეალურად, ბევრად მეტის გაკეთება შეიძლებოდა ორივე მხარის სასარგებლოდ, რომ არა მთელი რიგი რეგიონალური პრობლემებისა, მათ შორის, სომხეთ-აზერბაიჯანის მტრობა და კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულ-რუსული დაძაბულობის ჩათვლით. საქართველოში, სამწუხაროდ, ნაკლებად ვაცნობიერებთ სომხეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის სარგებელს და აქცენტი ისეთ მგრძნობიარე თემებზე კეთდება, როგორიცაა ისტორია, ცალკეული ტაძრების კუთვნილების საკითხი და მსგავსი. არადა, ყოველივე ეს მოგვარებადი საკითხებია, თუმცა, ორივე ერს — ქართველებსაც და სომხებსაც, ისტორიზმი გვეძალება. ნაწილობრივ ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ჩვენი „სავიზიტო ბარათი" მსოფლიოში არა ძლიერი ეკონომიკა, ახალი ტექნოლოგიები, სამეცნიერო ან სპორტული მიღწევები, არამედ ისტორია, ისტორია და კიდევ ერთხელ — ისტორიაა.**

მაგრამ არ შეიძლება, ისტორიაში ჩარჩენა, პირიქით, მასში უფრო დადებითი მომენტები უნდა ვეძებოთ უკეთესი მომავლის მისაღწევად. სწორედ ასეთი მიდგომა აქვთ სომხეთში გავლენიან, ევრაზიულ ინტეგრაციაზე ორიენტირებულ ძალებს. სომხური სახელმწიფო საბაჟო კავშირის წევრი გახდა, იგი ევრაზიის ინტეგრაციული პროექტის აქტიური მონაწილეა. სომხეთის ამგვარ ორიენტაციაში საკმაო წვლილი „იდეურ" ევრაზიელებს მიუძღვით. ჩვენს ინსტიტუტთან აქტიურად თანამშრომლობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ინტეგრაცია და განვითარება" წარმომადგენლები, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პოლიტოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის არამ საფარიანის უშუალო ინიციატივით. ეს ორგანიზაცია სომხეთში საკმაოდ სერიოზულ ადგილს იკავებს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ბატონ საფარიანს დიდი კავშირები აქვს სომხეთის ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ სტრუქტურებში. მისი მოწვევით, შარშან გახლდით ერევანში, დიდ, მეტად წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც სომხეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი და მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მე, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, განსაკუთრებული ყურადღებით მისმენდნენ, დიდი იყო სომხური მასმედიის ინტერესიც.

დღესდღეობით ჩვენი თანამშრომლობა გრძელდება კონსულტაციების დონეზე, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ ახლო მომავალში ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბატონი საფარიანი და მისი გუნდი სომხეთში, ისევ და ისევ, სომხეთის ინტერესებიდან გამომდინარე, თანამიმდევრულად ლობირებენ სომხურ-ქართული ურთიერთობების გაღრმავებასა და ჰარმონიზაციას. ეს დასტურდება თუნდაც ბ-ნი საფარიანის მიერ ტელეკომპანია „მირ"-ისთვის ამას წინათ მიცემული ინტერვიუთი, რომელშიც მან გარკვევით და მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველო სომხეთისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ სომხეთის საგარეო გადაზიდვების 70 პროცენტი საქართველოს ტერიტორიაზე მოდის. ამიტომაც განაცხადა მან, ამავე ინტერვიუში, რომ „საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა სომხეთისათვის".

თუმცა, საქმე მხოლოდ სავაჭრო ინტერესებით არ ამოიწურება, ბატონ საფარიანის აზრით, ქართველები „ძმური ერია".

რა შეიძლება გვქონდეს ამგვარი პოზიციის საწინააღმდეგო? და რატომ უნდა ვუფრთხოდეთ სომხეთის დაკავშირებას რუსეთთან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, მათ შორის, აფხაზეთის მონაკვეთზე? აქამდე მე სერიოზული არგუმენტი არც პოლიტიკის და, მით უმეტეს, არც ეკონომიკის სფეროდან არ გამიგია. ერთ-ერთმა მკითხველმა „ფეისბუქის" გვერდზე დაგვიწერა, რომ რკინიგზის გახსნის შემთხვევაში წაგებაში ჩვენი შავი ზღვის პორტები დარჩებიანო, მაგრამ განა ბიძინა ივანიშვილმა არ თქვა ეს, ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზასთან დაკავშირებით? მაშ, რატომ ვეძალებით ერთ მიმართულებას და უგულებელვყოფთ მეორეს? თუმცა, რა თქმა უნდა, მსჯელობა, განხილვა, კრიტიკა და გათვლების გაკეთება აუცილებელია, ჩვენ სწორედ ამ პროცესს ვუჭერთ მხარს, ნაცვლად „ნაცების" ისტერიისა, არიქა, რკინიგზა თუ გაიხსნა, საქართველოს სუვერენიტეტი დაიღუპებაო. ქართველმა საზოგადოებამ, მთავრობასთან ერთად, საკუთარი სიმწიფე უნდა გამოავლინოს და არ აჰყვებს ფუჭ და ყალბ ემოციებს.

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

**თემის გაგრძელება**

*თბილისის მცხოვრებლებს ბოლო კვირებია, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, ქალაქის ქუჩებში არსებული საცობებიც აწუხებთ. თუმცა, ქალაქში არც ქვეითად მოსიარულეებს ულხინთ. ტროტუარებზე გაჩერებული მანქანებით ჩახერგილი გზა, ხშირ შემთხვევაში, ავტომანქანების სავალ გზაზე მეტად გაუვალია. საზოგადოება პრობლემის მოგვარებას ხელისუფლებას სთხოვს.*

*ხელისუფლების მიმართ აქვთ პრეტენზია ძველ ხელისუფალთაც. თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ნიკა მელია „პოლიტიკურ მემკვიდრეებს" შემოვლითი რკინიგზის პროექტის შეჩერებას აყვედრის. მელიას მტკიცებით, აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების პირობებში, საათში დაახლოებით 3 000 ავტოსატრანსპორტო საშუალება კახეთის გზატკეცილიდან ქალაქის ცენტრში აღარ შემოვიდოდა, რითიც საგრძნობლად განიმუხტებოდა მარცხენა და მარჯვენა სანაპიროები და აღარ იქნებოდა პარალიზებული არც ერთი სტრატეგიული სატრანსპორტო კვანძი.*

*შემოვლითი გზებისა და ესტაკადების მშენებლობაში სრულ გამოსავალს ვერ ხედავს ორგანიზაცია „ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის". დედაქალაქის გზებზე შექმნილ პრობლემებზე for.ge, სწორედ, აღნიშნული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს ეკა ლალიაშვილს ესაუბრა.*

# ცხოვრება საცობში

**— რატომ შეიქმნა თბილისის ქუჩებში განსაკუთრებული პრობლემები ბოლო პერიოდში. რა არის მთავარი მიზეზი?**

—დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საცობის შექმნის მიზეზი ავტომობილების გადაჭარბებული რაოდენობა იყო, თუმცა, გზაზე არსებულ პრობლემებზე როდესაც ვსაუბრობთ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ადამიანის ქცევაა. საცობების პრობლემას ხშირად ისიც იწვევს, რომ მძღოლები ერთმანეთს არ უთმობენ გზას და ცდილობენ, პირველი თავად გავიდნენ. მოძრაობას ისიც აფერხებს, რომ გზების შეკეთების მიზეზით საკმაოდ დიდი დროით არის გადაკეტილი ქუჩები. ასევე მომრავლებულია გაუმართავი ტაქსების რაოდენობა, რომლებიც ქალაქში უხვად ჩნდებიან, სწორედ, ნალექიანი ამინდის დროს.

თუმცა, საცობების პრობლემა საგზაო უსაფრთხოების ერთ-ერთი ნაწილია, რომელზეც ბოლო დღეებში მხოლოდ იმიტომ დაიწყო საუბარი, რომ თბილისის თითქმის ყველა მცხოვრებს შეეხო.

პრობლემა კი უფრო მწვავეა: წლის განმავლობაში საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 8 ათასამდე ადამიანი შავდება, 600-მდე კი გარდაცვლილია. თუ ამ სტატისტიკას ევროპული ქვეყნების სტატისტიკას შევადარებთ, ვნახავთ, რომ 2,5-ჯერ მეტია. სულ ახლახან, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი და ვალდებულებებიც გვაქვს, რომ საგზაო უსაფრთხოების კუთხითაც გავაუმჯობესოთ ვითარება. შემცირდეს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა. საცობების პრობლემის გამწვავების შემდეგ დაიწყო ბევრ სხვადასხვა საკითხზე საუბარი, მაგალითად „ჭკვიანი შუქნიშნების" დამონტაჟებაზე, ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის გახსნაზე, ესტაკადების მშენებლობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს. ან მოაგვარებს მოკლე დროით და ორი წლის შემდეგ იგივე რეალობის წინაშე დავდგებით, როგორც დღეს გვაქვს.



საგზაო უსაფრთხოების ერთ პრობლემას, მეორემდე მივყავართ, მეორეს მესამემდე და ასე ჯაჭვივით გრძელდება.

**— ფეხით მოსიარულეებს არანაკლები პრობლემები ექმნებათ თბილისის ქუჩებში, ხშირად გზებზე მეტად დაკავებული, სწორედ, გზის ფეხით სავალი ნაწილია. ავტომანქანები პირდაპირ ტროტუარებზე დგანან. ასეთ პირობებში როგორ უნდა გაუჩნდეს ადამიანებს ფეხით სიარულის სურვილი?**

— დღეს ქალაქში ტროტუარები, „ზებრა" გადასასვლელები და შუქნიშნები ქვეითებისთვის არც არის საკმარისი რაოდენობით. ბევრი ქუჩაა, სადაც ტროტუარი არ არის და ძალიანაც რომ გინდოდეს, ფეხით ვერ გაივლი უსაფრთხოდ. „ზებრაზე" გავლაც კი მაღალი რისკის შემცველია, რადგან მძღოლები არ გითმობენ გზას. ფაქტობრივად, ადამიანისთვის მანქანით უფრო კომფორტული და უსაფრთხოა გადაადგილება, ვიდრე ფეხით. შესაბამისად, ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი, ვისაც ოდნავ მაინც აქვს საშუალება, მანქანას ყიდულობს. შედეგად კი ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად კატასტროფულად იზრდება მანქანების რაოდენობა, ხოლო მთლიანი ავტოპარკის 40% დედაქალაქშია თავმოყრილი.

ავტომანქანების რაოდენობის შემცირება ხელოვნურად კი არა, ბუნებრივად უნდა მოხდეს, ქუჩაში კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნით. ადამიანს ფეხით სიარულის და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის სურვილი რომ გაუჩნდეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაა საჭირო, რაც ბუნებრივად შეამცირებს ავტომობილების რაოდენობას, რადგან არავის უნდა ყოველდღიურად მანქანით მოძრაობა და ზედმეტი ხარჯის გაწევა.

ევროპული ქვეყნების ბევრ ქალაქში, პარკირების მაღალი გადასახადის მეშვეობით ფაქტობრივად, არ უშვებენ ავტომობილებს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მაგრამ სანაცვლოდ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტია განვითარებული და ხელმისაწვდომი ყველასთვის. უსაფრთხო ინფრასტრუქტურა ადამიანებს საშუალებას აძლევს, იარონ ფეხით და გამოიყენონ ისეთი უსაფრთხო ტრანსპორტი, როგორიც ველოსიპედია. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ქვეყნის ხედვა და საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია.

**— აქვს ქვეყანას დღეს საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია? ან ჰქონია დღემდე?**

— დღეს არ აქვს. ასეთი დოკუმენტი იყო 2009-2013 წლებში — ეროვნულ დონეზე ეს იყო პირველი საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მომზადდა, ხოლო, განხორციელებული ღონისძიებების შედეგების ანალიზი ჯერჯერობით არ გაკეთებულა. ახლა საუბარია 4-5-წლიანი გეგმის შემუშავებაზე, რომელიც ასევე მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით მზადდება. თუმცა, პროცესი, ძალიან ნელი ნაბიჯებით მიიწევს წინ. ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი მუნიციპალურ დონეზე საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ხედვის ჩამოყალიბებაა.

ჩვენს მეგობარ ქვეყნებში, მაგალითად, ესტონეთში კარგა ხნის წინათ შეიმუშავეს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია. 2002 წელს რომ დაგეგმეს მომავალი 5 წელი, აღმოჩნდა, მეტს მიაღწიეს, ვიდრე ელოდნენ. ახლახან სტუმრად იყვნენ საქართველოში ესტონელი კოლეგები და გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება.

საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიის განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია, შეიქმნას სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინირებულად და მიზანმიმართულად იმუშავებს სხვადასხვა სამინისტროებთან, რათა ერთობლივად მუშაობას მოჰყვეს დადებითი შედეგი.

**— რა უშლის ხელს საგზაო პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას? ხელისუფლებას არ აქვს შესაბამისი ნება?**

—ხელისუფლების მხრიდან პოზიტიური განწყობაა, მაგრამ მხოლოდ განწყობა არ არის საკმარისი, მეტი აქტიურობა და ქმედებაა საჭირო. უნდა გაანალიზდეს საგზაო უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემა და ამის საფუძველზე დაიწყოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

გრძელვადიანი ხედვის არსებობა და მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელება დაგვეხმარება იმ კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში, რაც დღეს გვაქვს. და ეს მხოლოდ საცობები არ არის, გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევებია, რომლის შედეგადაც ასობით ადამიანი იღუპება და ათასობით ადამიანი ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მხოლოდ ცალკეულ ინტერვენციებს, გზებზე არსებული მასშტაბური პრობლემების მოგვარება გაუჭირდება. სწორედ ამიტომ, საკითხის მიმართ კომპლექსური მიდგომაა საჭირო.

**— მოცემულ ვითარებაში, როცა პრობლემის მოგვარების გრძელვადიანი გეგმა არ არსებობს, რა უნდა გაკეთდეს ავტომანქანების სიმრავლით გამოწვეული საცობების დასარეგულირებლად? მოკლევადიანი გეგმა რა შეიძლება იყოს?**

— გააჩნია, რას ვგულისხმობთ „მოკლე ვადაში". ეს არის თემა, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა და ერთ-ორ თვეში მოგვარება რთული იქნება. ხელისუფლებამ მიმართულება უნდა მისცეს საზოგადოებას. უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, არამედ, კანონის მკაცრი აღსრულება, რაც ხელს შეუწყობს გზის მონაწილეებს კანონმორჩილები გახდნენ, თუმცა, დაჯარიმება არ არის ამოსავალი წერტილი, მას წინ უნდა უძღვოდეს მოსახლეობის ინფორმირება. შემდეგ კი საზოგადოებას ეს ყველაფერი ჩვევაშიც გადაუვა. ისევე, როგორც ეს მოხდა ღვედის დაწესების შემთხვევაში.

რომ შევადაროთ ერთმანეთს თბილისის და ევროპის ქალაქების ქუჩებში გადაღებული ფოტოები, ვნახავთ, რომ იქ თუ ერთ მწკრივად დალაგებულნი მოძრაობენ, თბილისში ქაოტურად გადაადგილდებიან, ამ ფოტოებითაც იგრძნობა ხალხის ქცევა და საკითხის მიმართ დამოკიდებულება. ევროპას ამის მისაღწევად, რა თქმა უნდა, წლები დასჭირდა, მაგრამ, როდესაც გვაქვს ამბიცია, გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი, დროა დავიწყოთ ისეთ საკითხებზეც ზრუნვა, როგორიცაა საგზაო უსაფრთხოებაა.

**მადლენა მაჭარაშვილი**

# „ირანის ფაქტორი“ და თბილის-სოხუმის რკინიგზის აღდგენა



**როდესაც მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა დასავლეთის ქვეყნების და აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები, უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე სამოქალაქო ომი, მოსკოვ-ვაშინგტონს შორის შექმნილი დაძაბულობა, „ისლამური სახალიფოს“ მიერ წარმოებული ომი და სხვა სერიოზული პრობლემები, უმალ წინა პლანზე გამოდის ირანის ისლამური სახელმწიფოს როლი ზემომოყვანილ საკითხებში და არა მარტო მათში, არამედ ისეთში, როგორიცაა თუნდაც საქართველოს რკინიგზის იმ მონაკვეთის აღდგენა, რომელიც აფხაზეთის ომის დროს დაინგრა და განადგურდა.**

მავანი იკითხავს — რა შუაშია ირანი აფხაზეთის რკინიგზის დანგრეული მონაკვეთის აღდგენაშიო. დღეს, ცხადია ერევანი-თბილისი-სოხუმი-მოსკოვის რკინიგზის ამოქმედება ირანთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ მისი (რკინიგზის) აღდგენის შემთხვევაში სულაც არ იქნება უცხო ისეთი თემის გააქტიურება, როგორიცაა სომხეთ-ირანის რკინიგზის გარკვეული მონაკვეთის მშენებლობა. ცხადია, მშენებლობა საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ პერსპექტივაში ის უდავოდ მოიტანს არა მარტო ეკონომიკურ სიკეთეებს, არამედ რეგიონის ხალხთა ურთიერთობის გააქტიურებას, მათ მჭიდრო დაახლოებას, როგორც ტვირთბრუნვიდან გამომდინარე, ისე მგზავრთა გადაადგილების თვალსაზრისით.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხებს ჩავუღრმავდებით, შევეხოთ უფრო რეალურ საკითხს, რასაც სოხუმ-თბილისის რკინიგზის აღდგენა ჰქვია და რაც თავისთავად ნიშნავს ერევან-თბილის-სოხუმ-მოსკოვის რკინიგზის აღდგენას. ეს თემა რა ხანია, ანუ დანგრევის დღიდან არსებობს, თუმცა, ჯერაც პასუხგაუცემელი, სადღაც, პოლიტიკური თაროს კუნჭულში მიტოვებული. დროდადრო ხან მოსკოვი (მეტადრე ის), ხან ერევანი ცდილობს საკითხის რეანიმაციას, თუმცა, უშედეგოდ. მიზეზი მარტივია, თბილის-სოხუმის ნეგატიური დამოკიდებულება თემისადმი, თბილისის მხრიდან კატეგორიული უარი. ასეთივე — სოხუმის მხრიდან, თუმცა, ოდნავ შერბილებული.

თბილისის პოზიცია თავიდან ბოლომდე პოლიტიკას უკავშირდებოდა და უკავშირდება, ანუ აფხაზეთის დაბრუნებას საქართველოს შემადგენლობაში. სოხუმის წინადადებაც ულტიმატუმის ელემენტებს შეიცავს და ასე გამოიყურება — აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არა მარტო თბილისის მხრიდან, არამედ დაინტერესებული ერევნის მხრიდანაც.

„აფხაზეთი სარკინიგზო კავშირის პროექტის ამოქმედების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ეს იდეა მხოლოდ მას შემდეგ განიხილება, რაც სომხეთი ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას“, — ასეთი იყო აფხაზეთის პარლამენტის პასუხი აფხაზეთში მცხოვრები სომხური დიასპორისთვის, რომელიც აქტიურად აჟღერებს რკინიგზის აღდგენის თემას.

ამ პასუხიდან დღემდე დიდი დრო არ გასულა, მაგრამ აფხაზეთში კარდინალურად შეიცვალა ვითარება: ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო სულ ახლახან ხელი მოეწერა აფხაზეთ-რუსეთის თანამშრომლობის ხელშეკრულებას. აფხაზეთის პოლიტიკურ სცენაზე ძველი-ახალი სახეების მიერ - პრეზიდენტიდან დაწყებული, უმაღლესი და მაღალ-დაბალი თანამდებობის დაკავებამ, ახლების სხვაგვარმა, მე ვიტყოდი პრაგმატულმა მიდგომამ საკითხებისადმი, შეცვალა აფხაზთა დამოკიდებულება რკინიგზის აღდგენის თემისადმი.

პრეზიდენტი ხაჯიმბა დადებითად იხილავს რკინიგზის ამოქმედების საკითხს: — „ვთვლი, რომ რკინიგზა უნდა აღდგეს, და ეს იქნება უპირველესად კარგი აფხაზეთისთვის, აფხაზი ხალხისა და სახელმწიფოსთვის. ეს, იქნება სარგებლიანი რუსეთისთვის, საქართველოსთვის და, ცხადია, სომხეთისთვის“.

ახალი პრეზიდენტის პოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ აფხაზ პოლიტიკოსთა განცხადებებისგან, რასაც აქამდე ვისმენდით. ცხადია, ისინიც მიესალმებიან რკინიგზის აღდგენით მიღებულ დივიდენდებს, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოება მათთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე დივიდენდები.

აფხაზთა შიში არ იყო უსაფუძვლო, ვინაიდან კომუნიკაციის, ტრანსპორტის ისეთი საშუალება, როგორიც რკინიგზაა, თავისთავად იწვევს კავშირების დამყარება-გაფართოებას, გარკვეულ გავლენას, ხალხთა მიმოსვლას და ა.შ., რაც მათი აზრით, სხვაგვარად იქნებოდა გამოყენებული საქართველოს მიერ.

ახალი პრეზიდენტი ხაჯიმბა, როგორც ჩანს, არ უშინდება ზემოჩამოთვლილ ფაქტორებს. რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მას გარკვეული უსაფრთხოების მექანიზმები უზრუნველყოფილი აქვს და ეკონომიკაზე ფიქრობს — მის აღმავლობაზე. მარტო მოსკოვ-სოხუმ-თბილის-ერევნის სარკინიგზო მარშრუტის აღდგენა დიდი შემოსავლების მომტანია სომხეთ-საქართველო-აფხაზეთისა და რუსეთისთვის. ტვირთბრუნვის სისწრაფე ერთი-ორად გაიზრდება. გაიოლდება აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეთა გადაადგილება და არა მარტო ყოფილ საბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპაშიც, ცხადია რუსეთის გავლით.

პროექტის რეალობად ქცევის შემთხვევაში კუთხეში მოქცეული სომხეთი გამოცოცხლდება. მას მიეცემა სტრატეგიული მოკავშირე რუსეთთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური და სამოქალაქო კავშირების დამყარების შესაძლებლობა. თურქეთ-აზერბაიჯანის მხრიდან ორმხრივ ბლოკადაში მოქცეული სომხეთი, რკინიგზის აღდგენით დაუკავშირდება ევრაზიის კავშირს, რომლის წევრიც ის 2015 წლის 1 იანვრიდან ხდება.

პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილის მიხედვით, რკინიგზა ხელს შეუწყობს სამხედრო კავშირებსაც, რაც არ არის გამორიცხული. რკინიგზის ამოქმედებით, რუსეთს მიეცემა საშუალება უფრო ფართოდ გაშალოს საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობები კავკასიაში და არა მარტო ეკონომიკური, პოლიტიკურიც. მისთვის უფრო ხელმისაწდომი იქნება სომხეთის ტერიტორიაზე, გიუმრიში განლაგებული რუსულ სამხედრო ბაზასთან კავშირურთიერთობა.

ვის არ აწყობს რკინიგზის აღდგენა?

უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს, რომელიც უკვე 20 წელიწადია, შემოსულია კავკასიაში და სხვადასხვა გზებით ცდილობს პოზიციების გამაგრებას, რაც მთავარია უკონკურენტოდ ყოფნას. რუსეთი მისი მთავარი კონკურენტია და რკინიგზის აღდგენით კონკურენციის ხარისხი რუსეთის სასარგებლოდ იღალადებს.

აშშ-ს კავკასიაში არ აქვს სამხედრო ბაზები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნატოს სასწავლო-საწვრთნელ ბაზას, რომლის გახსნასაც საქართველო ჰპირდება მას. რუსეთს კი სამი სამხედრო ბაზა აქვს — აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და სომხეთში. აშშ მაქსიმალურად შეეცდება ყველაფერი იღონოს, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლაც, აღნიშნული რკინიგზის აღდგენის პროექტის დაკონსერვებისთვის.

პროექტის წინააღმდეგ ანკარა-ბაქოს გამოსვლაც არ იქნება გასაკვირი, ვინაიდან, მათი აზრით, სოხუმ-თბილისის რკინიგზა როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით (მთიანი ყარაბახის სადავო საკითხი) არ არის მიზანშეწონილი. გარდა ამისა, ეს პროექტი კონკურენციას გაუწევს თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის მშენებარე რკინიგზას. თუმცა, ჩემი აზრით, პირდაპირი კონკურენციის ნიშნების არსებობა ძნელი დასამტკიცებელია.

რაც შეეხება საქართველოს, ურომლისოდაც ამ პროექტის ამოქმედებას პერსპექტივა არა აქვს, წინააღმდეგია აფხაზეთ-რუსეთის ხელშეკრულების და იმ პოზიციაზეა, რასაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. ამისათვის ის მზად არის, უკუაგდოს მრავალმილიონიანი შემოსავალი, რომელიც ექნება რკინიგზის აღდგენის შემთხვევაში.

თბილისი, უდავოდ გაითვალისწინებს აშშ-ს ნეგატიურ პოზიციას და არანაკლებ ნეგატიურს ბაქო-ანკარის მხრიდან. თურქეთ-აზერბაიჯანი საქართველოს სავაჭრო პარტნიორები არიან. გაზის იმპორტის 85% აზერბაიჯანზე მოდის. რკინიგზის ამოქმედება გამოიყვანს სომხეთს აზერბაიჯან-თურქეთის ბლოკადიდან, რაც თავისთავად გამოიწვევს ამ ორი ქვეყნის უკმაყოფილებას. საქართველოს შეუძლია წავიდეს ასეთ რისკზე, თუ რუსეთი დათანხმდება აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის დაბრუნებაზე, მაგრამ ეს ხომ უტოპიაა?

ოფიციალური თბილისისთვის, შესაძლოა, მომხიბვლელი იყოს ამ პროექტში ირანის ჩართვა, ანუ სომხეთ-ირანის მონაკვეთის სარკინიგზო მშენებლობის შედეგად და ირანის რკინიგზის მეშვეობით სპარსეთის ყურეში გასვლა. დიდი ფანტაზია არ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია. მხარეთა დაინტერესების შემთხვევაში (მოსკოვი, ერევანი, თეირანი) პროექტისთვის ფრთების შესხმა არ გაჭირდება, მოგება კი უდავოდ დიდი იქნება, ვინაიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ოკეანიის ქვეყნებიდან ზღვით წამოსული ტვირთების ნაკადი სპარსეთის ყურეში მდებარე ირანის საზღვაო პორტების გავლით რკინიგზაზე გადავა და არა მარტო სომხეთ-საქართველო-რუსეთისკენ აიღებს გეზს, არამედ დსთ-ს წევრი სახელმწიფოებისა და ევროპისკენ.

სამხრეთ-ჩრდილოეთის მარშრუტის შემქმნელი ირანი (ეს მარშრუტი რა ხანია მოქმედებს სპარსეთის ყურიდან დაწყებული, ირანისა და კასპიის ზღვის გავლით რუსეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისკენ) უეჭველად დაინტერესდება ახალი მარშრუტით.

ცნობისათვის — სულ ახლახან გაიხსნა რკინიგზა, რომელიც აკავშირებს ყაზახეთ-თურქმენეთს და ირანს. რკინიგზა არის ნაწილი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნისა, რომელსაც ჰქვია სამხრეთ-ჩრდილოეთის მარშრუტი. ამ გზის მშენებლობა 2009 წელს დაიწყო.

რახან ირანის შესახებ აღვნიშნეთ, ისიც ვთქვათ, რას წარმოადგენს ეს ქვეყანა როგორც მსოფლიოს, ისე ჩვენი რეგიონისთვის. 30 წელიწადზე მეტია, „ირანის ფაქტორი“ მსოფლიოს ერთ-ერთ პოლიტიკურ რეალობადაა ქცეული, რომელსაც ანგარიშს უწევენ არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოში. ამის მიზეზი არის ნამდვილი დამოუკიდებლობა როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო საკითხებში.

მსოფლიოსთვის რა ხანია მნიშვნელოვნად იქცა „ირანის ფაქტორი“. რა არის ამის მიზეზი და რამ გამოიწვია ირანის ესოდენ განსხვავებული პოზიცია?

უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ძალებზე დაყრდნობამ. 30 წელიწადზე მეტია, რაც ირანის მოსახლეობამ დაამხო (1979) პროამერიკული შაჰის რეზა ფეჰლევის რეჟიმი და სრულიად ახალ ცხოვრებას დაუდო საფუძველი.

აშშ-ის მარჯვენა ხელი და რეგიონში ამერიკელთა ჟანდარმის როლის შემსრულებელი შაჰის რეჟიმის დამხობა, ამერიკის პოლიტიკის დამხობის ტოლფასი იყო. ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ბლოკადაში მოქცეულმა ირანმა, ყველა გარე გამოწვევას გაუძლო - ერაყთან 8-წლიან ომს, გარედან მოწყობილ არაერთ ტერორისტულ აქტს, მწვავე კრიტიკას და მუდმივ ლანძღვას საერთაშორისო მედიაში, გაეროს უშიშროების საბჭოს, აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ დაწესებულ სანქციებს, სხვა უამრავ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ზეწოლას და გაუძლო ისე, რომ წამითაც წარბი არ შეუხრია, არ გადაუხვევია იმ გზიდან, რასაც დამოუკიდებელი პოლიტიკა ჰქვია.

დღეს, ძნელად შეხვდებით ქვეყანას (შეხვდებით კი?), რომელსაც ისეთი სუვერენიტეტი აქვს მოპოვებული, როგორიც ირანს. ყველგან იგრძნობა აშშ-ს ხელი. ავიღოთ თუნდაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. ყველა მათგანს, მათ შორის გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, ესპანეთს, სხვებს თავმოყვარეობა აქვთ დაკარგული და აშშ-ის ადმინისტრაციის თუნდაც მესამეხარისხოვანი მოხელე ვიქტორია ნულანდის — დიდაქტიკურ ტონსა და თითის ქნევას ეთანხმებიან.

დასავლეთის და არა მარტო დასავლეთის „მოლაქუცე ფინიური“ დამოკიდებულება „დიდი“ ბატონის, უფრო სწორად პატრონის მიმართ — კარგად გამოჩნდა ვაშინგტონ-მოსკოვის დაპირისპირებაში. ოღონდ ვაშინგტონი იყოს კმაყოფილი და ევროკავშირის ქვეყნები მზად არიან საკუთარი ეკონომიკის გაუარესების ხარჯზე, გაამწვავონ ურთიერთობა მოსკოვთან.

ანალოგიურს ჰქონდა ადგილი ირანთან მიმართებაშიც. მაშინ მიხვდა ირანი, რომ კბილის პასტიდან დაწყებული ბირთვული კვლევებით დამთავრებული, ყველაფერი მას უნდა გაეკეთებინა. და გააკეთა.

დღევანდელი ირანი არის განვითარებული მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კულტურის ქვეყანა. ქვეყანა, რომელმაც ყველაფერი საკუთარი ხელითა და ტვინით შექმნა — თან იზოლაციაში მყოფმა. ვგონებ, ურიგო არ იქნებოდა რუსეთს, ირანის მაგალითი გაეზიარებინა. და რატომ მარტო რუსეთს, იქნებ ჩვენც — სხვისი ხელის შემყურეს!

იხ. 12 გვ.

ალიანჩალიანი

## როგორ ვებრძოლოთ გრიპის საფრთხეს?!

**როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მნიშვნელოვანია, რომ ყველამ დაიცვას ზოგადი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.**

**„გრიპის საუკეთესო პროფილაქტიკა არის გრიპის საწინააღმდეგო სპეციალური აცრა, რომელიც არის ქვეყანაში და სასურველია ყველა აიცრას, ვინც არის ძირითად რისკ ჯგუფებში“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ. მისივე თქმით, ქვეყანაში გრიპის ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული.**

**„ზამთარში ყველაზე ხშირად გვაქვს გრიპოზული ინფექცია, რომელიც გამოწვეულია ან თვითონ გრიპის ვირუსით, ან სხვადასხვა ადენოვირუსებით და ა.შ. საბედნიეროდ, გრიპის ერთი-ორი შემთხვევაა გამოვლენილია. ამის ყოველდღიური მონიტორინგი ხდება, ძალიან კარგი გრიპის ლაბორატორია გვაქვს ლუგარის ცენტრში, რომელიც ყველა ტიპის გრიპის ვირუსის იდენტიფიცირებას ახდენს“, — განაცხადა გამყრელიძემ.**

ინტერპრესი

### გაბრაზებული კაცის აზრი

# კომუნისტთა დროინდელი კანონები უნდა გვენატრებოდეს?!

**„უპრეცედენტო მოვლენა“, „პირველად საქართველო-ში“, „პირველად მსოფლიოში“... ასეთი ეპითეტებით ამკობდა სააკაშვილი თავის უკანონო დანაშაულებრივ ქმედებებს.** ასე გრძელდება დღესაც, „უპრეცედენტო მოვლენად“ აფასებს ჩემი დღევანდელი ნანატრი ხელისუფლება პრეზიდენტისთვის ვეტოს უფლების და სხვა საპრეზიდენტო უფლებების შეზღუდვას, რისთვისაც მადლობასაც უხდის პარლამენტს. არა უხმაუროდ, როგორც წესია, ერთმანეთთან შეთანხმებით და საზოგადოებისათვის მიუწვდომელ გარემოში, არამედ ხმაურით, ისევე როგორც სააკაშვილის ხმაურიანი დაპირისპირებები რუსეთთან. არადა, პრეზიდენტი და პრემიერი მტრები კი არა, ერთმანეთის შემავსებელი ინსტიტუტები არიან ქვეყნის ეფექტურად მართვის საქმეში და სწორედ ის არის საქმე, რომ ქვეყნის ეფექტურად მართვა საქართველოს ვერ ეღირსა ეს დაწყევლილი 30 წელია.

დღევანდელი ხელისუფალი, როგორც წინა, სააკაშვილისა, დაკავებულია ჩინოვნიკების ყოველწლიურად ხელფასების ზრდით, დანამატებით, პრემიებით, ძვირადღირებული მანქანებით, თითქოს ისინი დამაშვრალნი არიან ხალხზე ზრუნვით. სინამდვილეში ასეთი ზრუნვა ხელისუფალისა გამიზნულია ჩინოვნიკების საკუთარი პერსონის მიმართ ერთგულებისა და მონური მორჩილებისათვის. ამას წინათ ერთმა დღევანდელმა ჩინოვნიკმა ბრძანა: მაღალი პროფესიის ჩინოვნიკს უნდა ჰქონდეს მაღალი ანაზღაურება, დიახ ბატონო, კვალიფიკაციის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს 10-ჯერ მეტი ხელფასი და არა 40-ჯერ ან სულაც 80-ჯერ. ან სად ჩანს დღევანდელი ჩინოვნიკების მაღალი პროფესიონალიზმი? ტრაპეზიც კი არ იციან ღირსეულად, საქმეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! ხალხი კი, ნუ ჩამითვლით უზრდელობაში, ფეხებზე ჰკიდიათ, აკი იმიტომაც მენაგვეებს გასატანი თითქმის არაფერი აქვთ. ამ საქმეს მშვენივრად ასრულებს ნაგვის ურნებში გადაყუდებული მშიერი მოსახლეობა. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა გრძელდებოდეს ასეთი მოღალატეობრივი ვოლუნტარიზმი. ჩინოვნიკი მთვარეზე სასეირნოდ, მოხუცი პენსიონერი — სანაგვეზე (სხვათა შორის, რუსეთში დღესაც მოხუც პენსიონერს წელიწადში ერთხელ შეუძლია უფასოდ დაისვენოს მისთვის სასურველ ნებისმიერ კურორტზე).

დღეს საქართველოში ერთ კაცზეა დამოკიდებული რა ცვლილებებს შეიტანს კანონმდებლობაში თავის და თავისი ჩინოვნიკების საკეთილდღეოდ! ბუნებრივია, არც ერთი ეს ცვლილება მოსახლეობისთვის არავითარი სიკეთის მომტანი არ არის, ამიტომაც ტაში პრემიერს ჩინოვნიკებისაგან, რაც მას აამებს, მაგრამ წყევლა-კრულვა მის ყურამდე არ მიდის, რასაც მას გაუბედურებული მოსახლეობა უგზავნის.

**პირველი ორი წელი სააკაშვილი ბევრად უფრო ლოიალური იყო ხალხის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვი ღარიბაშვილის ამ ორი წლის მოღვაწეობაზე. ვიმეორებ, ივანიშვილმა ისე ისროლა კატაპულტით ქვეყნის პირველი პირის სავარძელში ეს ახალგაზრდა, რომ ეს ბიჭი გაოგნდა, იფიქრა, მე ვარ ამ ქვეყნის გადამრჩენი და ჩემი ტოლი ჯერ არ დაბადებულაო. ჰოდა, აკი ტრიბუნების მიტაცებებით და ალაფურშეტებით მართლაც ტოლი არ გააჩნია, საქმე კი ჩასვრილია.**

ბატონო პრემიერო, პირდაპირ გეტყვით, ყოველგვარი ეპითეტების გარეშე — თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპისათვის, ვერ გაამართლეთ ხალხის იმედი, თქვენ დისკრედიტაცია შეგაქვთ საზოგადოების ცნობიერებაში ევროპის მიმართ, თქვენ ხალხს თვალში ნაცარს აყრით და მეტი არაფერი, თქვენ სულ უბრალოდ პირველი კლასის მაგალითი — ორჯერ-ორი უდრის ოთხს — შეცვალეთ ფორმულით „ორჯერ ორი უდრის — ყველაფერი ხელისუფლებას, არაფერი ხალხს“.

ვინ ხართ თქვენ, საიდან მოდიხართ და საით მიდიხართ — ევროპისკენ? წადით, სადაც გნებავთ, მაგრამ ხალხს თავი გაანებეთ, ნუ მიათრევთ ჯოჯოხეთში, იქონიეთ იოტისოდენა ადამიანობა (ასეთი პოზიციისთვის კომუნისტები დამაპატიმრებდნენ როგორც პროვოკატორს).

მაგრამ არა მგონია, თქვენ ეს შეძლოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე ვამბობ სრულ ჭეშმარიტებას. ფაქტობრივად, ჩემს მიმართ უამრავ მაგალითს მოგიყვანთ როგორც სახელისუფლებო ყაჩაღობების, ისე ჩინოვნიკურს.

იქნებ ხელისუფლების მხრიდან ჩემი ვალის თაობაზე დაიჩემებთ სამართლიან პოზიციას.

იქნებ კრიმინალ, არამზადა ზაზა რუხაძის დანაშაულებს აქვს რაიმე გამართლება, რომელიც დღეს გიული ალასანიას უნივერსიტეტში სამართლის კათედრას ხელმძღვანელობს, ან იქნებ პროკურატურა იჩენს ზრუნვას ამ საქმეში, როცა მმოძღვრავს, რომ მეზობლები თვითონ უნდა მოვრიგდეთ მაშინ, როცა 10 წელია ამ მოურიგებლობას ვჩივი? დავხოცოთ ერთმანეთი?

**ან იქნებ სააღსრულებო ბიუროში გაითვალისწინონ, რომ ხელისუფლებას ჩემი ვალი აქვს და მომემსახურონ უფასოდ მოხუც, ავადმყოფ, ქვეყნის ჭირისუფალ კაცს?**

როგორ შეიძლება დემოკრატიაზე ლაპარაკი ქვეყანაში, სადაც უცხოელი ჩინოვნიკები ჩამოდიან დამკვირვებლად იოლი ფულის საშოვნელად, ადამიანები, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში კანონის უპირობო მორჩილნი არიან.

ვერ ნახავთ იმ „დაწყევლილი“ კომუნისტების დროინდელ ვერც ერთ კანონს, სადაც არ არის გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც იძლევიან შეღავათებს გარკვეული პირებისთვის, ვისაც შეიძლება ეს უკუთვნოდეს.

**საქართველოში ძალობს გამოთქმა: „თევზი თავიდან ყარს“.**

**ქართლოს ზაქარეიშვილი**

### ევროპული სიბრიყვეები

# თურქეთი „გაზის ჰაბი“ ხდება... და საქართველო?!



## ვინ გამოიყენებს ისტორიულ შანსს?

**ევროპელი ლიდერების ვარაუდით, ევროკავშირსა და რუსეთს შორის დაპირისპირება „უკრაინის გამო“ შესაძლოა, ათეული წლები გაგრძელდეს. მაგრამ, ვინ რა სარგებელს მიიღებს ამ გლობალური პოლიტიკურ თამაშში, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია.**

**„სამხრეთის ნაკადი“ რუსეთიდან ბულგარეთისა და შემდეგ ევროპის ქვეყნების გავლით, აღარ აშენდება, თემა დაიხურა“,** — ასე ეხმიანება ამ ისტორიულ ფაქტს ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე.** მისი ვარაუდით, პროექტის ჩაშლაში ლომის წილი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუძღვის. რადგან ბულგარეთის ხელისუფლებას უარი ათქმევინა იმ კოლოსალურ შემოსავალზე, რასაც ეს ტრასა მოუტანდა. **„ძალიან მდიდარმა და წელში გამართულმა“ ბულგარეთის ახალმა ხელისუფლებამ 400 მლნ ევროს წლიურ საბიუჯეტო შემოსავალზე უარი თქვა და მილსადენის თავის ტერიტორიაზე გაყვანის ნებართვა რუსეთს არ მისცა! შეუცნობადია გზანნი მარიონეტებისა!!! — წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ექსპერტი, — სამაგიეროდ, რუსეთიდან შავი ზღვის გავლით კიდევ ერთი „სამხრეთის ნაკადი“ 2018 წლისთვის აშენდება. ზუსტი მოცულობა შეადგენს 63 მილიარდ კუბურ მეტრს. ანუ თურქეთი ე. წ. „გაზის ჰაბი“ გახდება და სამხრეთ და შუა ევროპისათვის გაზი თურქეთიდან გაიყიდება. ამასთანავე, 3 მლრდ კუბ. მეტრით დიდდება „ლურჯი ნაკადის“ მილსადენი, რომელიც ასევე თურქეთს აწვდის რუსულ გაზს. მეტიც, რუსების დახმარებით თურქეთში შესაძლებელია, ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყოს — რაც უკვე ჩვენთვის კარგი არ არის!“**

ექსპერტის აზრით, ამგვარი გადაწყვეტილება თავად ევროპას არ აძლევდა ხელს, არც თავიდან და არც ახლა, მაგრამ პოლიტიკური რელიეფით გამოწვეული რეალობა დღეს სწორედ ასეთია: **„მოკლედ, ევროპა იმას იღებს, რაც არ უნდოდა — არ უნდოდა ონკანი თურქეთს ჰქონოდა და იმდენი ქნეს, ონკანი მაინც თურქეთს ჩაუგდეს ხელში! სახალისო სიბრიყვეებია!“** — დასძენს გიორხელიძე.

ჩადენილი სიბრიყვეებისა და გაუბედაობის გამო საქართველოს ხელისუფლებას უკვე მერამდენედ კიცხავს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი **ნინო ბურჯანაძე**... თუმცა, მთავრობას სერიოზული რჩევებსაც აძლევს.

**„განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორ იცავენ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს გაბედული ლიდერები. თურქეთმაც კი, რომელიც ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა, ყველას აჩვენა, რომ ქვეყნის ინტერესები გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე ორგანიზაციის, ან სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესები“,** — ამბობს ბურჯანაძე.

ოპოზიციონერი მთავრობას პრაგმატული აზროვნებისკენ მოუწოდებს და სთავაზობს იდეას, სწორედ საქართველოზე გაიაროს რუსეთიდან თურქეთისკენ გამავალმა მილსადენმა. **„სამწუხაროდ, საქართველოს არ ეღირსა გამბედავი და დამოუკიდებელი მთავრობა, რომლისთვისაც უპირველესი ჩვენი ქვეყნის ინტერესებია. მივმართავ მთავრობს, გამოიყენოს ეს ისტორიული შანსი, და რუსეთსა და თურქეთს გაზსადენის გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე შესთავაზოს!**

როცა რუსეთი გლობალურ პროექტებზე ფიქრობს, ბუნებრივია, მას კიდევ უფრო დიდხანს აქვს ნაფიქრი იმაზე, სად, რომელ ტერიტორიაზე უნდა გაიაროს ამა თუ იმ მილსადენმა, მაგრამ ამის მიუხედავად, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საქართველოდან მაინც უნდა წამოვიდეს ინიციატივა ტრასის შეთავაზების შესახებ.

და რა შანსებს მისცემს ეს პროექტი საქართველოს? — ოპოზიციონერის აზრით, ეს ნაბიჯი შეიძლება ტერიტორიული პრობლემის მოგვარების საბაბიც კი გახდეს. **„ყველა ის პოლიტიკოსი, ვისაც პოლიტიკა ესმის და გარედან მიღებულ დაკვეთას არ ასრულებს, მიხვდება, რომ ეს ინიციატივა მხოლოდ ქართულ ინტერესებს ემსახურება, — აცხადებს ბურჯანაძე, — ეს პროექტი კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, მათ შორის, ევროპაშიც. მოიტანს სერიოზულ პოზიტიურ ეკონომიკურ ძვრებს და რაც მთავარია, ქვეყნის სტაბილურობას გაამყარებს. ჭკვიანი მმართველის ხელში, პროექტი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარების სერიოზული შესაძლებლობა გახდება“.**

ვნახოთ, რა გამოხმაურება მოჰყვება ხელისუფლებიდან ბურჯანაძის მოწოდებას. როგორც ჩანს, ეკონომიკურ სფეროში საქართველო-რუსეთის თანამშრომლობას საფრთხე არ ემუქრება. მეტიც, მთავრობაში ამბობენ, რომ ნებისმიერ პროექტზე შეიძლება რუსეთთან თანამშრომლობა, თუ ეს ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, მაგრამ პოლიტიკას არ დააზარალებს...

**თეა მოსია**

### კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● რავარც უკრაინელები დარდობდნენ კვიტაშვილის საქართველოს ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნას, ისე ვდარდობ მეც (ზღულაძეზე აღარაფერს ვიტყვი).

● ქუცნაშვილმა რაო, 31 დეკემბერს ზუსტად 12 საათზე დაანთეთ ფანჯრებში სანთლები თუ რო გადაცდებაო?

● მე ვარ საბურთალოელი, მაშასადამე, მე ვარ ამაყი, რამეთუ ჩემი დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარეა, ანუ მეორე კაცი ქვეყანაში, თუმცა, ისეთივე უმაქნისი, როგორც მესამე, მეოთხე, მეხუთე... და ა.შ. კაცები საქართველოში, მაშასადამე, ევროპაში!

● „არასამთავრობო“ (ეს მათ ეხებათ) ჟურნალისტები: ლაშა ტუღუში, ელისო ჩაფიძე, ანი მიროტაძე, ირაკლი მანაგაძე...

● კიევის მარშუტკაში მოსმენილი:

— ახ ნეტავი ერთად იყოს დონბასი და ხარკოვიიი...

● გაატარეთ ახალი წელი ბეკოსთან ერთად...

რატო, რატო....იქნებ ოჯახთან ერთად მინდა, ვა!..

● შაშკინი — უკრაინის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად!

● ქართველ პოლიტიკოსთა ფრაზა-მარგალიტები:

ბუკვალურად მინდა აღვნიშნო — ბარამიძე.

სოლიდარული რაოდენობა — ვანო მერაბიშვილი.

„მაიკროსოფტმა შექმნა ქართული ანბანი“ — მიშა.

„ყველაზე მეტი თანამშრომელი შინაგან საქმეთა სამინისტროდან დააკავა სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ..“ — მერაბიშვილი.

„აქ უნდა ყოფილიყვნენ ბოკერია და არველაძე, მაგრამ არ მოვიდნენ, პარლამენტში რაღაც საქმე გვაქვსო. ნეტა რა საქმე აქვთ იმისთანა, რომ გადაცემაში არ მოვიდნენ?“ — ინგა გრიგოლია.

ერთი პოლიციელი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. დაღუპულთა შორის ინფორმაცია არ ვრცელდება — ნათია ლაზაშვილი.

„ამ სამ კვირაში (ოსიაურის ბანაკში) ჩვენ (რეზერვისტებმა) მივიღეთ ფუნდამენტური ტაქტიკური განათლება“ — გიორგი არველაძე.

ის რომ რუსეთის გენ. პროკურორის მოადგილე ჩადის აფხაზეთში და კარგი კანონიერი ქურდივით არჩევს საქმეებს, ეს არაა პატივისცემა — მიშა.

„დათო კირკიტაძემ, რომ დაცვის ბიჭს ბოდიში მოუხადა, არის თუ არა ეს კულტურული რევოლუცია?!“ — მიხეილ სააკაშვილი.

„ჯარი იყო რამდენიმე თვის უჭმელი“ — მიხეილ სააკაშვილი.

„ადგილზე მოკვლევას ატარებდნენ ჩვენი ექსპერტები, კერძოდ ძაღლები“ — ვანო მერაბიშვილი.

**ამოკრება**
**გია გაბრიჭიძემ**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქამუშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მულხურაზე „ქამუშის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 45 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქამუშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 850 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 685 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 570 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მესტიაჭალაზე, მესტიაჭალის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 52 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 037 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 803.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 807 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე, „ალაზნის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 877 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 487.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 175 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, |

| | | |
|---|---|---|
| | | სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ე) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით. ვ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოკის მიმდებარე ტერიტორია, „იხომირას“ ტეშენიტის გამოვლინება, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 103 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 500 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 203 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; |

| | | |
|---|---|---|
| | | ზ) სალიცენზიო ობიექტი, რომელიც მდებარეობს ბეტონის კონსტრუქციის შენობაში, საჭიროებს შენობის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვახტანგისის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 9 125 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვახტანგისის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 295 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 29,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 7** | |
| | ბუნებრივი რესურსებით | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| | სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო |

| | | |
|---|---|---|
| | | წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოხვაურის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 500 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოხვაური |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 203 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 8** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო | 204 559 691 |
| | ნომერი | |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს |

| | | |
|---|---|---|
| | | სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 9**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 11 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 322 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 264 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 10**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ, ქვეყანაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. არაგვას მიმდებარე ტერიტორია, „არაგვას" ვულკანური წიდის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 97 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. არაგვას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 5 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## დედაქალაქი

# შეცდომების საილუსტრაციო ქალაქი?!

**ბოლო ათწლეულ წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ჩვენმა დედაქალაქმა იერი რომ იცვალა, ამას თბილისელებზე უკეთ სტუმრები ამჩნევენ, რომლებიც, ჩვეულებრივ, უმალ ხედავენ იმას, რაზეც ქალაქის მცხოვრებლებს თვალი უკვე გაჩვეული გვაქვს. თუ რა ხდებოდა ქალაქმშენებლობაში ხელისუფლების სათავეში ნაცმოძრაობის ყოფნის დროს, განსაკუთრებით კი ბოლო, მიხეილ სააკაშვილის არქიტექტურული ამბიციების გაფურჩქვნის წლებში, ყველამ კარგად ვიცით. ამის თაობაზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი მასალა დაგვისტამბავს, არაერთი შეხვედრა გვქონია დარგის წარჩინებულ სპეციალისტებთან. მათ შორის რამდენიმე საუბარი გვქონდა საქართველოს რესპუბლიკური და საერთაშორისო არქიტექტურული ბიენალეების ლაურეატთან, არქიტექტორ გივი გაბუნიასთან, რომელიც წლების მანძილზე საფრანგეთში მოღვაწეობდა.**

**— ბატონო გივი, დიდი ხანია, ქალაქმშენებლობის დარგში მოღვაწეობთ და ამ სფეროში რამდენიმე თეორიული ნაშრომის ავტორიც ბრძანდებით, გაქვთ უცხოეთში მუშაობის სოლიდური გამოცდილება. თბილისის ურბანულ განვითარებასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ადრეც გვქონდა საუბარი. რა სიახლეებია ამ მხრივ დედაქალაქში, რა აზრისა ხართ მიმდინარე პროცესებზე?**

— დედაქალაქის სივრცობრივი და გეგმარებითი სტრუქტურის განვითარება კვლავაც სტიქიური, კონიუნქტურული ფაქტორებით განპირობებული პროცესია. ერთხელ ერთმა ცნობილმა უცხოელმა ურბანისტმა მითხრა, თბილისი ქალაქმშენებლობითი შეცდომების ერთ-ერთ საილუსტრაციო ქალაქად შეიძლება გამოდგეს. ამასთან, თბილისში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, ხალხური და პროფესიული ხუროთმოძღვრების არაერთი არაჩვეულებრივი მაგალითია, რომლებიც უმთავრესად, დედაქალაქის ძველ უბნებში ჯერ კიდევაა შემორჩენილი. ასეთი მემკვიდრეობის პატრონებს კი არქიტექტურული დღევანდელობა, უკაცრავად, მაგრამ, ნამდვილად არ გეკადრებათო...

იქნებ სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ერთმა ფრანგმა ეთნოფსიქოლოგმა, ქართველების სხვა გამორჩეულ დადებით თუ ნაკლოვან თვისებას შორის, ხაზგასმით „ესთეტიური უდარდელობა" აღნიშნა (!). განა აუცილებელია ამ დარგის სპეციალისტი იყო, რომ დედაქალაქში მიმდინარე საყოველთაო ვაიმშენებლობამ, რომელმაც აშკარად ფსიქოზური ხასიათი შეიძინა და რომლის მამოძრავებელი ძალა მხოლოდ მავანთა უსაზღვრო სიხარბეა, ოდნავ მაინც არ დაგვაფიქროს?

დღესდღეობით მშენებელთა და მენაშენთა დევიზად თავისუფლად გამოდგება ლოზუნგი —„დედაქალაქში მიწის არც ერთი კვადრატული მეტრი ბეტონის გარეშე, ანუ გადავაქციოთ თბილისი, განსაკუთრებით კი ვერე, ვაკე და საბურთალო, ქართულ „მანჰეტენებად". ყველა სიკეთესთან ერთად, უბედურება კიდევ ისაა, რომ ეს გაუმაძღრობით მკვებავი „აღმშენებლობა" თანდათანობით კი არ იკლებს, წლიდან წლამდე მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ათასობით ახალი ბინა ჯერაც გაუყიდავია! თუმცა კი ისიცაა, რომ ტერმინი „ბინა" გარკვეული სიფრთხილით უნდა ვიხმაროთ, ვინაიდან მათი უმრავლესობა, ასე ვთქვათ, „ქართული ნოუ-ჰაუა", „თეთრ" და „შავ" კარკასებად წოდებული ნახევარფაბრიკატებია. მეტიც: ახალი, ულიფტო საცხოვრებელი კორპუსების ბინადარნი ასე წლების განმავლობაში ცხოვრობენ და ბინებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებასაც ახერხებენ. შედეგად, ასეთი ახალშენების შიდა ეზოები სამშენებლო პოლიგონებს უფრო ჰგავს, ვიდრე ცივილიზებული საცხოვრისის სივრცობრივ გაგრძელებას. ამის კლასიკური მაგალითი საბურთალოს ქუჩაზე კომპანია „აქსისის" მიერ აშენებული სახლია, რომლის ეზოში „ისე" შესვლას არავის ვურჩევ...

**— თქვენს მიერ წარმოჩენილი მეტად არასახარბიელო სურათი, ჩვენდა სამწუხაროდ, სინამდვილეს სრულად შეესაბამება, ამასთან, ვფიქრობ, სავსებით ბუნებრივია დავსვათ კითხვა: ყოველივე ამ უმსგავსობის მიზეზი მაინც რომელ სტადიაზე ისახება: სამშენებლო ფართის გამოყოფის, არქიტექტურულ-გეგმარებითი მოთხოვნების ჩამოყალიბების, მშენებლობის ნებართვის გაცემის თუ ადმინისტრაციული მართვის დროს?**

—ყველა იმ სტადიაზე, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ. დღესდღეობით მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა ხდება მისი ადგილმდებარეობისა და მწვანე სივრცის კონტექსტის, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობე-



ბის გაუთვალისწინებლად და, რაც ყველაზე უფრო მეტად საშიშროების შემცველია, ყოველგვარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გარეშე. ამ უკანასკნელი ფაქტორის უგულებელყოფის გამო, მრავალი ახლადაგებული შენობა გეოლოგიურად აშკარად სახიფათო, მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს. ეს, განსაკუთრებით, მდინარე ვერეს ხეობას ეხება. იოლად საშოვნელ ფულს დახარბებულმა ჩინოსნებმა, მანამდე სავალდებულო სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა და შესაბამისი დასკვნის მომზადება ერთიანად გააუქმეს და ამას — უმეცრად და თვალთმაქცურად! —„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის გამარტივება" დაარქვეს.

ზოგადად თუ ვიტყვით, არც ჩვენში, არც უცხოეთის ქვეყნებში, მიწის მესაკუთრეობა მასზე ავტომატურად მშენებლობის უფლების მინიჭებას სულაც არ ნიშნავს — თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მეპატრონეს მხოლოდ დროებითი, არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობის აგების უფლება აქვს. ხოლო, რაც შეეხება არქიტექტურულ-გეგმარებით მოთხოვნებს, დღესდღეობით მოქმედი სამთავრობო დადგენილებები თუ თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესები, მათი ფართო ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. თუკი მსურველი გარკვეულ თანხას ოფიციალურად გადაიხდის, მას განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს უპრობლემოდ გაუზრდიან, ანდა, ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კატეგორიაში გადაიყვანენ, რის შემდეგ მფლობელს მისი ნებისმიერი მოქალაქეობის მქონე პირზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაყიდვა შეეძლება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს თავისებური „ინდულგენციის მეთოდია", ოღონდ ამ შემთხვევაში ღვთის მსახურთა როლში მერიისა და საჯარო რეესტრის მოხელეები გვევლინებიან.

ტერიტორიების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი საგულისხმო მაგალითი მინდა მოვიყვანო. საფრანგეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ ანესში, მისმა მკვიდრმა, რომელიც იქ ტბის პირას მიწის დიდ ნაკვეთს ფლობდა, მუნიციპალიტეტს ის უსასყიდლოდ გადასცა, ოღონდ იმ პირობით, რომ მასზე არანაირი დანიშნულების შენობა არასდროს არ აიგებოდა და იქაურობა სარეკრეაციო ზონად დარჩებოდა. ამით მან ქალაქის ისტორიაში ღირსეულ მოქალაქეთა გვერდით საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. არ ვიცი, თუ როგორ დაფასდება მომავალში ბატონ ბიძინა ივანიშვილის მეცენატური და პოლიტიკური ღვაწლი, მაგრამ იმისთვის, რომ მან თბილისს ყოფილი იპოდრომის მწვანე „კუნძული" შეუნარჩუნა, დღესდღეობით ყველანი უნდა ვუმადლოდეთ. თუმცა, ახლა „კვადრატომანებმა" იერიში მასზეც მიიტანეს და მის მიჯნაზე უკვე დაიწყეს მომავალი საცხოვრებელი კორპუსების კარკასების ამოყვანა, ან საამისოდ ემზადებიან — მრავალწლიან ჭადრებსა და ფიჭვებში უკვე კარგა ხანია საქმიანად გუგუნებენ ბულდოზერები და ექსკავატორები. ამ ტერიტორიაზე სამშენებლო კომპანია „მ²"-ის მიერ უკვე აშენებულ კორპუსს, რომელიც იპოდრომს გადაჰყურებდა, რამდენიმე ათეულ მეტრში მრავალსართულიანი სახლის კარკასი ამოუშენეს, რითაც იქაურ მაცხოვრებელთა დიდ ნაწილს არა მარტო საბინაო პირობები გაუუარესეს, არამედ მათი ბინების საბაზრო ღირებულებაც მკვეთრად დააქვეითეს, რადგან საცხოვრისიდან მიმზიდველი ხედი მის ფასზე აბსოლუტურად ყველგან დიდ გავლენას ახდენს.

მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტ შეცდომას მაინც მშენებლობათა ნებართვების გაცემისას უშვებენ, რაც არა მარტო არაკომპეტენტურობის შედეგია, არამედ ხშირად ადმინისტრაციული ზეწოლის, გავლენიან პირთა ინტერესებითაა განპირობებული. ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი იქნებოდა, რომ მშენებლობის ნებართვას ხელს პირადად ქალაქის მერი აწერდეს, ანდა, ვიზას მაინც ადებდეს, რაც ევროპის ქვეყნებში მუნიციპალიტეტის მუშაობაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას შემატებს როგორც მერიის თანამშრომლებს, ასევე მათ ხელმძღვანელს, თუმცა კი ისიცაა, რომ ამ შემთხვევაში მას საზრუნავი ნამდვილად მოემატება. ამასთან, ამ სისტემის შემოღება აშკარად შეამცირებს სუბიექტივიზმს მშენებლობების ნებართვების გაცემისას, როცა ერთი მოხერხებული მენაშენე მის მიღებას რამდენიმე დღეში ახერხებს, ზოგიერთი კი თვეების განმავლობაში ამაოდ ელოდება.

**— რამდენადაც ვიცი, საქართველოში ქალაქმშენებლობის დარგის საკმაოდ ბევრი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი გვყავს. ისინი რატომ არ მონაწილეობენ ამ პროცესში?**

— რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მაღალი კვალიფიკაციის ქალაქმშენებლობის სპეციალისტები უფრო ასაკოვანი ხალხია, ისინი მხოლოდ ტელეეკრანებზე თუ გამოჩნდებიან ხოლმე რომელიმე გარკვეულ პიარზე გათვლილ გადაცემაში, ისიც საკმაოდ იშვიათად. ამის მიზეზი ასაკთან ერთად, ალბათ, ისიცაა, რომ ეს ხალხი ახალგაზრდებივით კარგად ვერ ფლობს უცხო ენებს და თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებს, თუმცა კი ეს მათს პროფესიონალიზმს სულაც არ აკნინებს. ასაკობრივი ცენზი სპორტში ლოგიკურია, მაგრამ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, არქიტექტურაში იგი უფრო პოზიტიური ფაქტორია. ალბათ, არაერთ ევროპელ თუ ამერიკელ ასაკოვან მინისტრს მისი თანამდებობა არ ეღირსებოდა, საქართველოში რომ ეცხოვრა და ემოღვაწა. თუ ძველ და ახალ ხელმძღვანელობას ავიწყდება, რომ ახალგაზრდობა დროებითი კატეგორიაა, და ასაკოვან ხალხს ისე ამრეზით უცქერს, რომ არც საქმეს აკარებს, უკიდურეს გაჭირვებაშიც ამყოფებს, თანაც, კაცი უნდა ეყოს პენსიას და არა პენსია კაცსო, გვმოძღვრავენ?! ბარემ შექმნან ერთი რეზერვაცია და იქ გადაგვასახლონ, როგორც სოციალური ბალასტი!

**ესაუბრა**
**ოთარ ტურაბელიძე**

## სოლიდარობა

# განსაკუთრებულობა ფასეულს ხდის ინდივიდს

## ფილმის პრემიერა გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტში

**„ყველა ბავშვი განსაკუთრებულია", — ასეთი სათაურით უჩვენეს ფილმი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა.** ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა: თიკა ლომსაძემ და იოანე ედიშერაშვილმა არასრულწლოვან შშმ პირებს საკმაოდ თბილი და გულისხმიერი კადრები მიუძღვნეს, რის გამოც ფილმი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ მე-6 საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალის „კენტავრის" ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. სტუდენტებმა ღირსეულად დაიმსახურეს „წარმატებული დებიუტანტის" ნომინაციის უმაღლესი პრიზი.

ფილმის მზადების პროცესს ხელმძღვანელობდნენ თავართქილაძის უნივერსიტეტის პროფესორები ედნარ გიორგობიანი და ვახტანგ ნანიტაშვილი.

ბუნებრივია, ფილმის მიმართ ინტერესი დიდი იყო. პრემიერას ესწრებოდნენ გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, ლექტორები, რექტორის წარმომადგენლები, გთსუ საპატიო დოქტორი, ჰოლანდიელი პროფესორი დიკ ვეინანდსი. ფილმი შეაფასეს გთსუ რექტორმა გიორგი მათიაშვილმა, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა მარინე ვეკუამ, პროფესორებმა ბაია კოღუაშვილმა. სტუდენტებს გზა დაულოცა გურამ თავართქილაძის სახელობის სტიპენდიატმა თეონა გიორგელაშვილმა.

**„იმის გარდა, რომ ამ ფილმმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენ პრობლემას აწყდებიან ჩვენს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, კარგად გამოჩნდა, რომ ყველა ადამიანში თავსებურად დევს განსაკუთრებულობა, რაც ამაღლებს მის ფუნქციას და ფასეულს ხდის ინდივიდს",** — აღნიშნა უნივერსიტეტის პროფესორმა მაია კოპაძე-კვეზერელმა, რომელიც ამავე დროს ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ხელმძღვანელია.

ფილმის ჩვენების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა იდეას — შეიქმნას პროექტი შშმ პირთა დასახმარებლად და ამ პროექტის ფარგლებში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდეს. კონცერტის დღესვე გაიმართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნაკეთობებისა და ფოტოხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. კონცერტის თანაორგანიზატორი იქნება ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის".

**ეს ის პატარა აგურია, რომლითაც გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტს თავის წვლილი შეაქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ცხოვრების შემსუბუქებაში. ფილმმაც კარგად აჩვენა, რომ ყველა ადამიანის უფლებაა — ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა და გამოავლინოს თავისი განსაკუთრებულობა.**

**ნია ფიფია**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინის მთავრობამ საქართველოს უნდობლობის ვოტუმი მიიღო

## თბილისში უკმაყოფილონი არიან მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლთა დანიშვნების გამო



**უკრაინის მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრების დანიშვნა იმუქრება თბილისისა და კიევის ურთიერთობათა გაუარესებით. მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „ამ არასწორ გადაწყვეტილებას ექნება შედეგები საქართველო-უკრაინის ურთიერთობებისთვის“. სხვათა შორის, ჩვენი გაზეთის წყაროს სიტყვებით საქართველოს სამთავრობო წრეებში, კიევთან რეალურ გათიშვაზე თბილისი არ წავა.**

უმალვე მას შემდეგ, რაც უკრაინის რადამ საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი დანიშნა უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად, თბილისის მასობრივი ინფორმაციის რამდენიმე საშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროზე მითითებით, რომ საქართველოს ელჩმა უკრაინაში მიხეილ უკლებამ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. მოტივად დასახელებული იყო ის, რომ მას „არ შეეძლო გაეცა პასუხი თავისი ხელმძღვანელობის პრეტენზიებზე – ჩარეულიყო სააკაშვილის თანამებრძოლთა დაწინაურების საქმეში“. თუმცა, მალე თავად უკლებამ, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა თამარ ბერუჩაშვილმა უარყვეს ეს ცნობები, 3 დეკემბერს კი საღამოს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილების შესახებ საელჩოს მუშაობით კიევში დაადასტურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ. **„საელჩოს დაკომპლექტების საკითხი ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, უკრაინაშიც, მოითხოვს გადასინჯვას“,** – განაცხადა მან.

ასევე ცნობილი გახდა, რომ უკრაინის მთავრობაში დანიშვნა მიიღო არა მხოლოდ ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელიც სააკაშვილის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება ქეყანაში და „ახალგაზრდა რეფორმატორად“. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მნიშვნელოვან პოსტს დაიკავებს ეკატერინე ზღულაძე – ცნობილი ფიგურა საქართველოში, რის სახელთანაც დაკავშირებულია პოლიციის რეფორმა. **„მაგრამ მის საქმიანობაში არის ბნელი მხარეც“,** – შეახსენა ჩვენს გაზეთს პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. – **ის იყო მოადგილე ვანო მერაბიშვილისა, რომელიც გასამართლებულია მძიმე დანაშაულებისთვის, და ეხმარებოდა სააკაშვილს ავტორიტარული რეჟიმის მშენებლობაში“.**

უფრო მეტიც, თავად ყოფილმა პრეზიდენტმა, მისი სიტყვებით, უარი განაცხადა უკრაინის მთავრობის ვიცე-პრემიერის პოსტზე, რათა არ დაეკარგა საქართველოს მოქალაქეობა. **„მე ხომ კვლავ უნდა ვიბრძოლო საქართველოსთვის“,** – განმარტა მიხეილ სააკაშვილმა კიევის ერთ-ერთი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში. უკრაინაში სააკაშვილის გუნდზე მოთხოვნა და მისი მზარდი აქტიურობა ამასთან დაკავშირებით თავის სამშობლოში იწვევს მკვეთრ უკმაყოფილებას საქართველოს მმართველი კოალიციის ლიდერებს შორის.

**„ეს არის არასწორი გადაწყვეტილება, რომელსაც ექნება თავისი შედეგები საქართველო-უკრაინის ურთიერთობებისთვის“,** – განაცხადა ჩვენთან საუბარში ლევან ბერძენიშვილმა.

ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ გვაგრძნობინა, რომ, თუ დადასტურდება ინფორმაცია წინადადების შესახებ დაიკავოს უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი პოსტი საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, „ეს მიგვიყვანს წარმოუდგენელ შედეგებამდე“. „არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ ეს არასასიამოვნო იქნება“, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

საქმე ისაა, რომ ადეიშვილი სააკაშვილის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლად ითვლებოდა და ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლისთანავე 2012 წლის ოქტომბერში მან დატოვა საქართველო. უკრაინაში მისი მიწვევის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე დაიმუქრა კიდეც უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით **„როგორც პასუხი სახელმწიფო სტრუქტურებში იმ დამნაშავეთა დანიშვნის შესახებ, რომლებსაც საქართველოს მართლმსაჯულება დაეძებს“.**

ჩვენმა წყარომ საქართველოს სამთავრობო წრეებში დაადასტურა, რომ კიევისა და თბილისის გადაწყვეტილებანი „აღიქმება გაოცებითა და სიფრთხილით“. მიუხედავად ამისა, მან გამორიცხა უკრაინასთან ურთიერთობების რეალური გაწყვეტის ალბათობა. **„ჩვენი პრემიერი კიევში მომავალი ვიზიტის დროს ყველაფერს გააკეთებს გაუგებრობის თავიდან აცილებისთვის“,** – დაგვპირდა თანამოსაუბრე. სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი (პირველი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში) უკვე სერიოზულად აღმოჩნდა გაწბილებული.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე

**აშშ-ს ხელისუფლება არ იზიარებს სენატორ მაკკეინის თვალსაზრისს, რომელმაც უნგრეთის პრემიერს ნეოფაშისტი უწოდა**

**სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ მაკკეინის სკანდალური სიტყვები უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან დაკავშირებით, რომელსაც მან „ნეოფაშისტური დიქტატორი“ უწოდა, ეს სენატორის პირადი საქმეა. მაგრამ ქვეყნის ადმინისტრაციაში ამ შეფასებას იზიარებენ, ვინაიდან ორბანს პუტინის „მინი-ასლს“ უწოდებენ.**

* * *

**დონბასში „ბოინგის“ კატასტროფის შესახებ ანგარიშიდან გაქრა მონაცემები უკრაინის ხელისუფლების შეცდომის შესახებ, ამტკიცებენ გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

**„ბოინგის“ კატასტროფამდე ყოველდღე კიევი უცხოელი თვითმფრინავების ფრენისთვის 2 მილიონ ევრომდე გამოიმუშავებდა ხოლმე. ეს შეიძლებოდა გამხდარიყო კონფლიქტის ზონაში ცის სრული დაკეტვაზე უარის თქმის მიზეზი, გამოიკვლიეს ჟურნალისტებმა ჰოლანდიელი ექსპერტების დახმარებით. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მონაცემები ნაწილობრივი და არასრული დაბლოკვის შესახებ გაქრა მოხსენებიდან ვინმეს დაბეჯითებული თხოვნის შედეგად.**

* * *

**17 შტატის ხელისუფლებმა სასამართლოში შეიტანეს საჩივარი ობამაზე ბრძანებულების გამო მილიონობით იმიგრანტის ლეგალიზაციის შესახებ**

**მომჩივანთა აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაარღვია ქვეყნის კონსტიტუცია, როდესაც დააკანონა ქვეყანაში დაახლოებით 5 მილიონი არალეგალი იმიგრანტის ყოფნა. უკმაყოფილო შტატებმა მოითხოვეს დაბლოკონ ბრძანებულება. როგორც მათი ხელისუფლები მიიჩნევენ, იმიგრაციის რეფორმა გაამწვავებს ჰუმანიტარულ კრიზისს ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე, უწინარეს ყოვლისა, ტეხასში.**

## შინ და გარეთ

# „ირანის ფაქტორი“ და თბილის-სოხუმის რკინიგზის აღდგენა

(მეხუთე გვერდიდან) ირანი ერთადერთი სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელმაც ქედი არ მოიხარა აშშ-ის წინაშე, თუნდაც ისეთ საკითხში, როგორიცაა ბირთვული კვლევები. განა „დიდი ექვსიანის“ ფორმატის შექმნა, ირანთან მოლაპარაკებების წარმოების საბაბით, არ ნიშნავს მსოფლიოში ირანის მზარდ როლს?

ირანის ბირთვული კვლევის საკითხი ხომ ბოლო წლების საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხია? სულ ახლახან, ვენაში დასრულდა „ექვსეულ“-ირანის (გაეროს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) მოლაპარაკება, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო.

„დღეს მსოფლიოში არავის შეუძლია თქვას, რომ ირანის წინააღმდეგ სანქციები გასამკაცრებულია. დღეს ყველა ამბობს, რომ საჭიროა მეტი დრო, მეტი ლაპარაკი, რათა საბოლოო შედეგი იქნას მიღებული“, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა როუჰანიმ.

მოლაპარაკების მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ ხელმოწერა დოკუმენტისა, რომელიც ა.წ. 25 ნოემბერს უნდა გამართულიყო – გადაიწიოს მომავალი წლის ივნისის ბოლოს.

ირანმა მიაღწია შეთანხმებას, რომ ის მიიღებს უცხოეთში გაყინული საკუთარი თანხების ნაწილს – თვეში, 700 მილიონ დოლარს. ირანმა დასვა დასავლური სანქციების ერთბაშად მოხსნის საკითხი, თუმცა, „ექვსეული“ ვერ დაიყოლია. „ექვსეულის“ აზრით, ეს პროცესი თანდათანობით უნდა განხორციელდეს, თან ირანის ბირთვული ობიექტების მონიტორინგით.

ირანის როლი საერთაშორისო საკითხებში, განსაკუთრებით რეგიონულში, წლიდან-წლამდე იზრდება. ირანი გვევლინება მშვიდობის დამცველ ქვეყნად ტაჯიკეთში; ჩრდილოეთ ავღანეთში მცხოვრები შიიტების დამხმარედ; პალესტინის ორგანიზაცია „ჰამასის“ და ლიბანის ორგანიზაცია „ჰესბოლას“ პოზიციების მხარდამჭერად.

ირანი აქტიურად თანამშრომლობს და მხარს უჭერს სირიისა და ერაყის ხელისუფლებებს. ირანი არა მარტო ეწინააღმდეგება ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორებიცაა „ჯებხატ ან-ნუსრა“, „ისლამური სახალიფო“, სალაფიტური ორგანიზაციები, არამედ აქტიურად იბრძვის მათ წინააღმდეგ.

ირანი ეწინააღმდეგება ისრაელის გეგმას ერაყის გაყოფის თაობაზე. ირანმა აქტიური წვლილი შეიტანა „ისლამური სახალიფოს“ არმიისგან ერბილ-ბაღდადის დაცვის საქმეში.

ირანის აქტიური პოზიცია სირიისა და ერაყის მიმართ არ არის გამოწვეული მარტო იქ მცხოვრები შიიტებისა და ალავიტების დაცვით, არამედ საერთოდ რეგიონში სტაბილურობის დაცვით. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის პოლიტიკას ერაყსა და სირიაში – ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა უწოდა და ამერიკა დაადანაშაულა ვაჰაბიტური ბანდების ჩამოყალიბებაში.

სირიისა და ერაყის მიმართ ირანის პოზიცია გეო-ეკონომიკური ინტერესებითაც არის განპირობებული. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ისიც, რომ ომის გაჩაღებით, აშშ-მა ჩაშალა ირან-სირიის ხელშეკრულება გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლითაც მოხდებოდა გაზის გატანა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

დააკვირდით, სად იბრძვიან „ისლამური სახალიფოს“ მეომრები – მოსულიდან დაწყებული სირიის ჩრდილოეთით დამთავრებული. ზუსტად ამ ტერიტორიებზე უნდა გაევლო ირან-სირიის გაზსადენს.

ირანს პრაგმატული ურთიერთობები აქვს რუსეთთან. მან უკვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის გაგრძელების თაობაზე. პირველი წყება – ბუშერის ბირთვული სადგური, სწორედ რუსეთის დახმარებით აშენებული, უკვე შევიდა ექსპლუატაციაში. მიღწეულია შეთანხმება რკინიგზის დარგში თანამშრომლობის საკითხებში, რაც ითვალისწინებს არა მარტო რეკონსტრუქციას, არამედ მშენებლობას.

„ირანის ფაქტორს“ დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისთვის. წელს, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი ეწვია თეირანს, ისევე, როგორც ირანის პრეზიდენტი როუჰანი – ბაქოს. ირანი კატეგორიულად მოითხოვს, რომ კავკასიის საკამათო, საკონფლიქტო საკითხებში არ ჩაირთოს არარეგიონული მხარე.

სომხეთ-რუსეთიც წინააღმდეგია რეგიონში არარეგიონული ძალების გამოჩენის. ირანმა, რუსეთთან ერთად, არაერთხელ გააფრთხილა ამიერკავკასიის ქვეყნები და მათ შორის საქართველო, რომ არ დაუშვებს დესტაბილიზაციას რეგიონში და მთელი ძალებით შეეწინააღმდეგება შეიარაღებულ კონფლიქტს.

ირანმა ასევე მკაცრად გააფრთხილა ანკარაც. თეირანის გაფრთხილება ანკარის მისამართით მაშინაც გაჟღერდა, როდესაც აქტიურად ალაპარაკდნენ თურქეთში აშშ-ის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებაზე. თვით თურქეთი რიდით ეპყრობა მეზობელ ირანს.

ირანის წინადადებით შემუშავდა ირან-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობის უმაღლესი საბჭო – რეგიონში, ერთმანეთთან შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმედებებისთვის.

ირანის მიმართ საქართველოს ხელისუფალთა დამოკიდებულება ზომაზე მეტად არასერიოზულია, რაც არაერთხელ დამტკიცდა „საოცნებო“ ხელისუფლების გადაწყვეტილებებით – ერთობ ანტიირანულით და პრიმიტიულით. არადა, „ირანის ფაქტორის“ გათვალისწინება კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში არ აწყენდა საქართველოს ხელისუფლებას. თუ „ირანის ფაქტორს“ დიდი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რას წარმოადგენს მტკაველი და სუსტი საქართველო?

საქართველო, დასავლეთ-აღმოსავლეთს და ჩრდილოეთ-სამხრეთს შორის გადებული ქვეყანა, ვერ იარსებებს მარტო ევროატლანტიკური სივრცით, რამეთუ ის ტერიტორიულადაც და მენტალურადაც შორს დგას იმ აზროვნებისგან, რაც იქ და არა აქ, საქართველოში, კავკასიაში არის გამჯდარი. თითო-ოროლა მეტიჩარა ქართველი „პოლიტიკოსის“ ევროატლანტიკური წყალდალეულობა კი ვერ უშველის იმ რეალობას, რაც კავკასიაში სუფევს.

**მოსკოვ-სოხუმ-თბილის-ერევანს, შემდგომში თეირანს შორის სარკინიგზო კომუნიკაციის აღდგენა საერთაშორისო თანამშრომლობის, ბიზნესის, ხალხთა დაახლოების უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა. მისი ხელიდან გაშვება არ უნდა შედიოდეს რუსეთის, აფხაზეთის, საქართველოს, სომხეთის და ირანის ხალხთა ინტერესებში.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

# თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის

**წლეულს, 23 ოქტომბერს, ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ქართული ვაზისა და ღვინის დიდი მოჭირნახულის, ამ სფეროში მრავალი გამოგონებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვის ინიციატორის, საქართველოს ისტორიის ჯეროვანი დამფასებლის ბატონ თამაზ ქვლივიძის გულწრფელი იდეებითა და წინადადებებით სავსე სტატია — „რაც ჩვენი აღორძინების ნიშანსვეტი იქნება“.**

**სტატიას „საქართველოს რესპუბლიკის“ არაერთი მკითხველი გამოეხმაურა. დღეს, ამ თემის განვრცობისა და ქვეყნის ხელისუფლების ყურადღების მიპყრობის მიზნით, ვბეჭდავთ რამდენიმე გამოხმაურებას.**



## ეს გვჭირდება ეროვნული თანხმობის მისაღწევად!

**გავეცანი მიმდინარე წლის 23 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ბატონ თამაზ ქვლივიძის სტატიას „რაც ჩვენი აღორძინების ნიშანსვეტი იქნება“.**

ამჯერადაც თამაზ ქვლივიძემ საზოგადოებას შესთავაზა მეტად შთამაგონებელი ინიციატივა, რომელიც გამოირჩევა გულწრფელობით, ეროვნული სულისკვეთებით, ოპტიმიზმით და გვაძლევს იმის კარგ მაგალითს, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ წარსულს, როგორ გამოვიყენოთ ისტორიული ეპოქები (მაგალითები) საზოგადოების მყარი ერთიანობისთვის.

ავტორის პოზიცია ეროვნულ სიამაყესთან ერთად გამოხატავს საზოგადოებრივ (საყოველთაო) მადლიერებას, რაც ესოდენ აკლია დღეს ჩვენს დაძაბულ ცხოვრებას.

მიგვაჩნია, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ შემოთავაზებული პროექტის (მისი ფართო საზოგადოებრივი განხილვის შემდეგ) განხორციელებას. მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს სრულიად საქართველომ. მიზანშეწონილია შეიქმნას აღნიშნული პროექტის განხორციელების საზოგადოებრივი ფონდი.

ბატონ თამაზ ქვლივიძის მიერ შემოთავაზებული იდეის განხორციელება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ეროვნული თანხმობის მიღწევას, რომლის გარეშეც ქვეყნის სტაბილური განვითარება და ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შენარჩუნება-განმტკიცება გადაულახავ წინააღმდეგობებთან იქნება დაკავშირებული.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მდიდარი ტრადიციებისა და ქვეყნისთვის ერთგულებით გამორჩეული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა მომავალშიც გამონახავს შესაბამის ფორმას შემოთავაზებული პროექტის მხარდაჭერისათვის.

**ნოდარ ჭითანავა,**
**პროფესორი.**

## ბათუმიდან მოგიწოდებთ!

**სიამოვნებით წავიკითხე ბატონ თამაზ ქვლივიძის გულისტკივილით და იმედით სავსე წერილი.**

დიდი მეფის დავით აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლის და თბილისის მთავარ მოედანზე ეროვნული პანორამის მოწყობა თითოეული ქართველის სისხლხორცეული მოვალეობაა. მართლაც უპრიანი იქნებოდა, თუ ამ იდეას სწორუპოვარი მეფის გარდაცვალების 900 წლისთვის აღსანიშნავად განვახორციელებდით.

ეს იქნება საქართველოს მთავრობისა და ხალხის ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ეროვნული ისტორიის პანორამის მოწყობა ახალი „ოქროს ხანის“ დასაწყისი გახდება.

**გურამ პაპუნიძე,**
**აკადემიკოსი, ბათუმი.**

## კარგ იდეას თანადგომა და აღსრულება უნდა!

**ჩვენი ისტორიის ამ დიდებულ და ქართველი ერისთვის საამაყო ხანას აუცილებლად სჭირდება უკვდავყოფა სპეციალური მემორიალის შექმნით.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხარდაჭერისა და თანადგომის ღირსია ცნობილი კახელი გამომგონებლის თამაზ ქვლივიძის ინიციატივა, რომელიც მან გააჟღერა ამ რამდენიმე ხნის წინათ. ამ ინიციატივამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა და ამიტომაც ეჭვი არ არის, რომ მოინახება საკმარისი ფინანსური სახსრები მისი განხორციელებისთვის.

**ელგერდ ბატიაშვილი,**
**პროფესორი.**

## მაგალითი თაობებისთვის

**მივესალმები ყველანაირ ეროვნულ საქმეს, განსაკუთრებით თამაზ ქვლივიძის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას, რომ დედაქალაქის შუაგულში დაიდგას აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლი მისი მოღვაწეობისა და 2025 წლის იანვარში გარდაცვალების 900 წლისთავის აღსანიშნავად.** ასევე, სახელმწიფოს მხარდაჭერის ღირსია, მოეწყოს ეროვნული ისტორიის პანორამა, რომელიც იქნება ჩვენი გმირი წინაპრების უდიდესი პატივისცემა და თვალსაჩინო მაგალითი დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის.

**გიორგი ოთხმეზური,**
**პროფესორი.**

## სახელოვანი წარსულის წარმოჩენის საშუალება

**ბატონი თამაზის იდეა იმსახურებს ყურადღებას,** რადგან ასეთი ეროვნული პანორამა იქნება ქართველი ხალხის გმირული ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების დამადასტურებელი ცოცხალი სანახაობა, რომელიც, ერთი მხრივ, საჭიროა ჩვენი შთამომავლობის სიამაყისა და სამშობლოს სიყვარულისთვის, მეორე მხრივ, მსოფლიოს ხალხებისთვის ქართველი ერის სახელოვანი წარსულის წარმოჩენის საუკეთესო საშუალება.

**ჯემალ ბადაგაძე,**
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.**

## ამ წინადადების განხორციელება ტურიზმსაც წაადგება

**მთლიანად ვიზიარებთ და ვეთანხმებით თამაზ ქვლივიძის გამოთქმულ ინიციატივას ქალაქ თბილისის ყველაზე მთავარ და საუკეთესო ადგილზე, გმირთა მოედანზე აღიმართოს აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლი, რომელიც მოსახლეობის თანხით განხორციელდება, რომ ყველამ თანაბრად ვიამაყოთ ამ დიდებული ადამიანის ძეგლის მშვენიერებით. ამისთვის საკმარისი იქნება თითოეულმა ქართველმა გაიღოს 1 ლარი.**

რაც შეეხება ეროვნული პანორამის მოწყობას, იგი სახელმწიფოს სისხლხორცეულ მიზნად უნდა იქცეს, რომელიც მართლაც დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას ტურიზმის თვალსაზრისით.

მადლიერებას გამოვხატავთ თამაზ ქვლივიძის ასეთი სასარგებლო და ეროვნული ინიციატივის შემოთავაზებისთვის.

**რეზო ხუციშვილი,**
**პროფესორი. თელავი.**

## მართლაც ეროვნული საქმე

**რასაც თამაზ ქვლივიძე გვთავაზობს, ეს არის დიდი ეროვნული საქმე, რომლის განხორციელებითაც საუკუნეები იამაყებენ.** ამ იდეას ნამდვილად მხარდაჭერა სჭირდება.

**თამარ ცინცაძე, ლევან მესხია, მარიამ კოკაია, თორნიკე მაისურაძე, მიშიკო მესხია, ქუჯი ნაცვლიშვილი,**
**თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.**

## ისტორიის გასაცოცხლებლად

**თამაზ ქვლივიძის ინიციატივას, გმირთა მოედანზე დაიდგას აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლი და მოეწყოს ეროვნული ისტორიის პანორამა, ნამდვილად მისაღები და სასარგებლოა ჩვენი ქვეყნის ისტორიის გასაცოცხლებლად.** მაგრამ სურვილი კიდევ უფრო გამიორკეცდა, როდესაც წავიკითხე წიგნი „ვაზი ჩვენი სიამაყე“, სადაც მართლაც არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ახმოვანებს ავტორი თამაზ ქვლივიძე. მაგალითად, შეიქმნას აღმაშენებლის ფონდი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადახდილი ჯარიმების 100-პროცენტიანი დაფინანსების წყაროთი, რომელიც მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მამულიშვილურ ინიციატივას სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა უნდა.

**გია ალადაშვილი,**
**ინჟინერი, თელავი.**

## „მეშურნენი“ აქაც გამოჩნდებიან...

**ცნობილ მწერალი დანტე ალიგიერი თავის ბრწყინვალე „ღვთაებრივ კომედიაში“ წერს: „ვინც ასწავლიდა არისტოტელეს, ყიდდა ჩალას, და მეშურნენი გაიჩინა ბრძენმეტყველებით“,** თამაზ ქვლივიძემ კი მეშურნენი გაიჩინა თავისი გამოგონებებით და თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილებით, რისი დასტურიცაა ა. წ. 23 ოქტომბერს დასტამბული მისი კიდევ ერთი წერილი აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლის დადგმაზე და ეროვნული პანორამის მოწყობაზე, რასაც აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა.

**ზურაბ ჩიკვაიძე,**
**ფილოლოგი, თბილისი.**

## ჩემი ნატვრა

ოქროს გვირგვინის დადგმისთვის
საქართველოს ძის თავზედა
ვალი გვექნება მოხდილი
ჩვენი ცხოვრების გზაზედა.

გვჭირდება დღესაც აღმშენებელი,
ურიცხვი ჭირის მძლეთა მძლეველი,
წინ რომ გაგვიძღვეს დაუცხრომელი,
ახალი გზნებით მანათობელი.

მოატრიალოს უკუქცეული,
ცხრა საუკუნით მივიწყებული
ნიჭი და გენი მეფისეული,
აღორძინების მაუწყებელი,

ქვეყნის უღელი გამრუდებული
წინ წაიყვანოს გალაღებული,
საზღვრები ჩვენი, შემცირებული,
კიდევ გვენახოს გასწორებული.

სამშობლოს მხრები დანარცხებული
მალე გვეხილოს წარჩინებული
და მიწა-წყალი მირონცხებული
სამარადჟამოდ გაბრწყინებული.

აწ, განახლებულ საუკუნეში,
ქვეყანა დაღმა დაქანებული
შემოვაბრუნოთ, წაღმა წარვმართოთ,
ტურფა წალკოტად დამშვენებული,

წილად გვერგუნოს მოზღვავებული
შემორიგება მოძმე ხალხისა,
და ყოფილიყოს აუმღვრეველი
თანდაყოლილი ძმობისათვისა.

**თამაზ ქვლივიძე**
**ღვინობისთვე, 2014.**

ჭიდაობა

# 7 მედალი — თურქეთიდან



**ამ დღეებში თურქეთის პროვინცია ტოკატში გაიმართა ჰუსეინ აკბასის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც 7 ქვეყანა მონაწილეობდა: თურქეთი, საქართველო, რუსეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, მაკედონია და აზერბაიჯანი.**

ქართველმა ფალავნებმა 1 ოქროს, 1 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონი თორნიკე ხიდეშელი (125 კგ.) გახდა, მეორე ადგილი გიორგი ლობჟანიძემ (74 კგ.) დაიკავა, მესამეზე კი ლაშა ტალახაძე (57 კგ.), ლევან ქელეხსაშვილი (70 კგ.), ირაკლი მწითური (86 კგ.), თედო ებანოიძე (97 კგ.) და გიორგი კაკაურიძე (125 კგ.) გავიდნენ.

**ბეჟან დოლიძე**

ლეგიონერები

# მჭედლიძის ბრწყინვალე გოლი

**იტალიის თასის შეხვედრაში ბრწყინვალე გოლი გაიტანა ქართველმა ფორვარდმა ლევან მჭედლიძემ. „ჯენოასთან" საშინაო შეხვედრაში „ემპოლი" მე-4 წუთზე დაწინაურდა, ხოლო ანგარიშის ორამდე გაზრდა 73-ე წუთზე მჭედლიძემ მოახერხა. საბოლოოდ შეხვედრა ამ ანგარიშით 2:0 დასრულდა, ხოლო ქართველი მოთამაშე 75-ე წუთზე შეცვალეს. მან მიმდინარე სეზონში პირველი გოლი გაიტანა და უიღბლო სერია შეწყვიტა.**

რუსეთის პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრაში ყაზანში „რუბინმა" ვილაშ-ბოაშის "„ზენიტთან" ვიტცელის გოლით მინიმალური ანგარიშით წააგო. მასპინძელთა მწვრთნელმა ქართველი მცველები მამუკა კობახიძე და სოლომონ კვერკველია სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. მათ სრულად ჩაატარეს შეხვედრა.





ბელარუსის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ნიკოლოზ მნათობიშვილის მოგილიოვის „დნეპრი" გადათამაშების პირველ შეხვედრაში „ვიტებსკთან" დამარცხდა (0:2). ქართველი მცველი ტრავმის გამო თბილისში იმყოფება, მისი თამაში საპასუხო შეხვედრაში გამორიცხულია.

აზერბაიჯანის თასის შეხვედრაში „სადაგთან" გასვლითი მატჩი მოიგო ბაქოს „ინტერმა." ანგარიში მე-12 წუთზე თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ბაჩანა ცხადაძემ გახსნა, ტაიმის მიწურულს მამედოვმა ანგარიში გაზარდა, ხოლო კახა ცხადაძის გუნდის კიდევ ერთმა წევრმა აბასოვმა მატჩის მიწურულს საბოლოო ანგარიში 3:0 დააფიქსირა.

**გიორგი შოთაძე**

ძიუდო

# სეზონის ფინიშზე



**გუშინ, სასტუმრო „გოლდენ პალასში" საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს.**

სხდომაზე დამტკიცეს 2015 წლის ძიუდოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა, მიიღეს რეგულაციები სპორტსმენთა მომზადებასა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში მათ გამოსვლასთან დაკავშირებით, ასევე დაინიშნა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ყრილობა 2015 წლის 3 იანვარს შემდეგი დღის წესრიგით:

1.2013-2014 წლების ძიუდოს ფედერაციის საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შეჯამება;

2.საკლუბო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები (წესდებაში ცვლილებების შეტანა);

3.აღმასკომის წევრის ჩანაცვლების საკითხი.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# აფრიკაში დაჯგუფდნენ



**აფრიკის ერთა თასის 2015 წლის გათამაშება სტარტს იანვარში აიღებს. უკვე ცნობილია ის 16 გუნდი, რომლებიც 30-ე გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. გაიმართა წილისყრა, რის შედეგადაც გუნდები 4 ქვეჯგუფად გადანაწილდნენ.** გამოსარჩევი უდავოდ C ჯგუფია, რომელშიც თავი ერთად მოიყარეს განის, სენეგალის, ალჟირისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებმა. ყველაზე სუსტად კი A ჯგუფი მიიჩნევა, რომლიც მასპინძელი ეკვატორული გვინეის, გაბონის, კონგოს და ბურკინა ფასოს ნაკრებებით დაკომპლექტდა. B ჯგუფში ზამბია, ტუნისი, კაპო ვერდე და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოხვდნენ. და ბოლოს, D ჯგუფში გვინეის, კამერუნის, კოტ დ'ივუარის და მალის ნაკრებები ითამაშებენ.

გახსნის შეხვედრა ეკვატორულ გვინეასა და კონგოს შორის 17 იანვარს გაიმართება, ტურნირის ფინალური მატჩი კი 8 თებერვალსაა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ტურნირისთვის მაროკოს უნდა ემასპინძლა, თუმცა, ებოლას ვირუსის გამო მან ტურნირის ჩატარებაზე უარი თქვა.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# შერმადინის უშეცდომო მატჩი

**გიორგი შერმადინის „ფოქსთაუნ კანტუმ" ევროთასის მე-8 ტურში ფრანგული „ვილერბანი" მიიღო და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება (79:69) იზეიმა, ქართველმა ცენტრმა კი გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი დაიდო.**

შერმადინმა მოედანზე 18 წუთი გაატარა და 6 ქულა, 6 მოხსნა (3 შეტევაში), 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ გიორგის შეცდომა არ დაუშვია, 2-ვე ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ერთადერთი პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

ქართველი კალათბურთელის მოედანზე ყოფნის პერიოდში, იტალიურმა გუნდმა მეტოქეზე 15 ქულით მეტი ჩააგდო, შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტმა კი 19-ს უწია, რაც მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.





კანტუელთა მხრიდან 17 ქულით ყველაზე შედეგიანი ამერიკელი დარიუს ჯონსონ-ოდომი იყო, უნგრელმა დამიან ჰოლისმა (უნგრეთი) 13 ქულა ჩააგდო, ამერიკელმა დექუან ჯოუნსმა კი — 10.

საინტერესოა, რომ ფრანგულ გუნდში საუკეთესო საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ტორინ გრინი იყო. ქართული პასპორტის მქონე ამერიკელმა უკანახაზელმა 34 წუთში 22 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. მან 3-დან 1 ორქულიანი, 7-დან 4 სამქულიანი და 8-ვე საჯარიმო გამოიყენა, მეტოქეებს კი თამაშის წესების დარღვევა ერთბაშად 8-ჯერ აიძულა.

ისიც ვთქვათ, რომ დასკვნითი მეოთხედის წინ მასპინძლები 7 ქულით აგებდნენ, თუმცა, ბოლო ათწუთეულში სტუმრები 32:15 გაანადგურეს.

„ფოქსთაუნ კანტუმ" 3 მოგება და 5 მარცხი მოაგროვა და B ჯგუფში იმავე „ვილერბანთან" ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს. ცნობისთვის, შემდეგ ეტაპზე ჯგუფის საუკეთესო ოთხეული გავა, ფრანგებთან თანასწორობის შემთხვევაში კი უპირატესობა იტალიელთა მხარეს იქნება, რადგანაც სტუმრად მხოლოდ 8 ქულით აქვთ წაგებული.

შერმადინის კლუბს ევროთასზე მომდევნო მატჩი 10 დეკემბერს ისევ შინ „დიჟონთან" (5 მოგება, 3 მარცხი) ელის და თუკი იმარჯვა, მე-2 ჯგუფური ეტაპისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# სიმეონეს ცოლის გულწრფელობანი

**მადრიდის „ატლეტიკოს" საჭეთმპყრობელის დიეგო სიმეონეს პირადი ცხოვრების შესახებ ბოლო დროს ესპანურმა ბულვარულმა მედიასაშუალებებმა წერას ძალიან მოუხშირეს. ამის მიზეზს „ყვითელ" მოკალმეებს სიმეონეს ცოლი, მოდელი კაროლინა ბალდინი აძლევს, რომელიც ყოველთვის მზადაა საზოგადოების დასაინტრიგებლად.**



კაროლინა ბალდინი სრულებითაც არ ჰგავს ცნობილი ადამიანების მოსაწყენ და ბრუტალურ ცოლებს, რომელთა ცნობადობაც მეორე ნახევრების იმიჯზეა დამოკიდებული. სიმეონეს ცოლი ერთობ თამამი ჩაცმულობით ხშირად ხვდება საზოგადოების ყურადღების ქვეშ და ისეთ ფოტოებს იღებს - თქვენი მოწონებული.

კაროლინა ბალდინი ყველაფერთან ერთად გულწრფელობითაც გამოირჩევა და აღიარებს, რომ ფეხბურთის შესახებ მისი ცოდნა ოდენ ქმრის ნაამბობით შემოიფარგლება. ეს წყვილი უკვე ათი წელია, ერთადაა და ამ დროის განმავლობაში კაროლინა სტადიონზე სულ 3-4-ჯერ თუ იქნება ნამყოფი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

**რით ვიკვებებით?**

# 2015 წლიდან საქართველოში ფალსიფიცირებულ რძის ნაწარმს ვეღარ გაყიდიან



**ქართველი მომხმარებელი წლების განმავლობაში ყიდულობდა პროდუქტს, რომელსაც მხოლოდ ფორმალურად ერქვა რძის ნაწარმი და მცენარეული კომპონენტებისგან მზადდებოდა.**

მომავალი წლიდან მცენარეული ცხიმით დამზადებული რძის პროდუქტების მაწვნად, არაჟნად, ან ხაჭოდ დასახელება აიკრძალება — ამის თაობაზე bpn.ge-ს საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროექტების ხელმძღვანელმა ლია თოდუამ აცნობა: „როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაგვპირდნენ, მომავალ წელს „რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტი" ამოქმედდება და რძის ნაწარმის სახელწოდებით სავაჭრო ქსელში დაშვებული იქნება მხოლოდ ნამდვილი რძის ნაწარმი და არა — ფალსიფიცირებული. ამჟამად რძის პროდუქტების სახელით ისეთი პროდუქცია იყიდება, რომელშიც რძის ცილას, ან ცხიმს რაღაც სხვა, უცხო ნივთიერებებიც აქვს დამატებული. ამგვარ პროდუქტებს ეს ნორმატიული დოკუმენტი მოიხსენიებს, როგორც რძის შემცველ პროდუქტებს, რადგან იქ რძეც არის და სხვა, უცხო კომპონენტებიც. ამიტომ, ეს არ არის რძის ნაწარმი და ვერ გაიყიდება სახელწოდებით — რძე, მაწონი, არაჟანი, ხაჭო, ან ყველი. ამ სახელწოდებებს მცენარეულ ცხიმზე დამზადებული პროდუქციისათვის ვეღარ გამოიყენებენ".

ლია თოდუას თქმით, მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ პროდუქტს, ალბათ, სხვა სახელს დაარქმევენ, რას? — ეს უკვე მეწარმის გადასაწყვეტია. „გამონაკლისია მხოლოდ მაწონი" — გვითხრა მან: „მაწონი დაპატენტებული აქვს საქართველოს მთავრობას და, ამავე დროს, ევროკავშირშია დარეგისტრირებული. ამ პატენტში მითითებულია, რომ მაწონი უნდა აწარმოოო არა მარტო რძისგან, არამედ რძემჟავას ბაქტერიების შტამისაგან, რომელიც საქართველოში მზადდება. ეს შტამი ქართულ ბაქტერიოფაგს აქვს, მაგრამ წარმოებისათვის საკმარისი რაოდენობით — არა. როგორც აგვიხსნეს, იმისათვის, რომ ეს ლაბორატორიული შტამი საწარმოო შტამად გადაიქცეს, რამდენიმე წელია საჭირო. ამიტომ, საკითხი, თუ რომელი ბაქტერიებისაგან შეიძლება იყოს წარმოებული მაწონი, დროებით დაურეგულირებელი რჩება, რაც შეეხება იმას, რომ მაწონი უნდა იყოს აუცილებლად რძის ნაწარმი და არა მცენარეული ცხიმის, ან მცენარეული ცილის შემცველი პროდუქტი, ეს უკვე გარკვეულია".

შეკითხვაზე, როდის შევა აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში, ლია თოდუა პასუხობს: „შეიძლება მეწარმეებს 5-6 თვე მისცენ ეტიკეტების შესაცვლელად. სხვა მხრივ, დადგენილება მომავალი წლიდან უნდა ამოქმედდეს — შეიძლება ეს არ იყოს იანვარი და იყოს ზაფხული, მაგრამ აუცილებლად ამოქმედდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ბოლო შეხვედრა გაიმართა საზოგადოებასთან და ბიზნესთან, ყველაფერი უკვე გარკვეულია და საბოლოოდ „რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტი" მთავრობამ უნდა დაამტკიცოს.

ლია თოდუას აზრით, ამ რეგლამენტის მიღებით ყველა მოგებული დარჩება — არა მარტო მყიდველი, არამედ ქართველი მეწარმეც, განსაკუთრებით, ის ფერმერები და მეწარმეები, რომლებიც ნამდვილი რძისაგან ნამდვილ პროდუქციას ამზადებენ და არა — ფალსიფიცირებულს, მომხმარებელი კი, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს ნამდვილი რძის პროდუქტი და გაურკვეველი წარმოშობის სუროგატი ერთმანეთისაგან გაარჩიოს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

---

**მეუღლე ბონდო ხობელავა, შვილი ქეთი, სიძე გოჩა ბაბუნაშვილი, რძალი თამუნა დანელია, შვილიშვილები ოთო, დათუჩა ბაბუნაშვილები, აჩი, ბესი ხობელავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მანანა ბერუჩაშვილი**

**პანაშვიდი 5, 6 XII, 17 სთ. დაკრძალვა 7 XII, 14 სთ. მისამართი: ფალიაშვილის 33ა, მე-3 სადარბაზო.**

---

**ელიზბარ ლომინაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის, ახლო ნათესავის ბონდო ხობელავას მეუღლის, ქალბატონი**

**მანანას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის ყველა წევრს.**

---

**თენგიზ კალანდაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრისა და კოლეგის ბონდო ხობელავას**

**მეუღლის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის ყველა წევრს.**

---

**ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ბატონ ბონდო ხობელავას ძვირფასი მეუღლის**

**მანანა ბერუჩაშვილი-ხობელავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ლია, ჯონი ჩხენკელები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის ბონდო ხობელავას მეუღლის, უსაყვარლესი ქალბატონის**

**მანანა ბერუჩაშვილი-ხობელავას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის ყველა წევრს.**

**ირინა ჩხენკელი ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს და ნათესავს ქეთი ხობელავას დედის**

**მანანა ბერუჩაშვილი-ხობელავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**იურიდიული კონსულტაცია**

**კითხვა: რომელია ძირითადი ოფიციალური ორგანო, რომელშიც ყველა კოდექსი, კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ქვეყნდება?**

**ანი გოგუაძე**

**პასუხი:** ასეთი ოფიციალური ორგანოა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ასევე ქვეყნდება ვებ-გვერდზე: www.matsne.gov.ge რაც ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნების ტოლფასია.

* * *

**კითხვა: ვცხოვრობ თბილისში, ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. მესაჭიროება თიაქრის ოპერაცია. სად შეიძლება გამიკეთონ ოპერაცია და რა თანხის გადახდაა საჭირო?**

**ალექსანდრე ხუციშვილი**

**პასუხი:** გირჩევთ, მიმართოთ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს (თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7; საკონტაქტო ტელეფონი: 272 22 22), სადაც მოგცემენ კომპეტენტურ რჩევასა და კონსულტაციას როგორც ოპერაციის გაკეთების, ისე მისი ღირებულების საკითხებზე.

* * *

**კითხვა: შეიძლება თუ არა მზრუნველობა დაუწესდეს სრულწლოვან პირს და თუ ეს კანონით გათვალისწინებულია, - რა შემთხვევაში?**

**ნიკოლოზ ჯანჯალია**

**პასუხი:** დიახ, სასამართლოს მიერ მზრუნველობა სრულწლოვან პირსაც შეიძლება დაუწესდეს, თუ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

---

**განცხადება**

19.06.2014 წელს გარდაცვლილი ქეთევან ჯელილის ასული წაქაძის სამკვიდრო საქმის წარმოება მიმდინარეობს ნოტარიუს ნუნუ კაკოჩაშვილთან. გთხოვთ, სავარაუდო მემკვიდრეებმა განცხადებით მიმართოთ ზემოაღნიშნულ ნოტარიუსს.

---

**და ნათელა, ძმა რევაზ ტაკიძე, რძალი ლალი გურგენიძე, ძმისწულები ზურაბი, ანი, სიძე ქრისტიან ფონ ბორცისკოვსკი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნელი ტაკიძე**

**პანაშვიდი 5, 6 XII, 17 სთ. გამოსვენება 7 XII, 14 სთ. მისამართი: ირ. აბაშიძის 10, II სადარბაზო, II სართული.**

---

**ავტოგაქირავება**

# რა მიზნით ქირაობენ ქართველები BMW კაბრიოლეტს

**საქართველოში რომ მანქანის განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევიან, ახალი ამბავი არ არის. ყველას საკუთარი მანქანით, კომფორტულად მგზავრობა სურს, თუმცა, მაინც მოიძებნებიან ისეთები, ვისაც ავტომობილი არ ჰყავს ან კონკრეტული მიზნისთვის მისი ავტომობილი არ გამოდგება და ტრანსპორტის დაქირავება სურს. Bpn.ge შეეცადა გაერკვია, რა პირობებით არის შესაძლებელი სასურველი მანქანის დაქირავება და რას სთავაზობენ საქართველოში მოქმედი ავტოგაქირავების სერვისები ამ მომსახურების მიღების მსურველს.**

ქართულ ბაზარზე სულ რამდენიმე კომპანია აქირავებს მანქანებს. ისინი განსხვავებულ პირობებსა და ფასებს სთავაზობენ მომხმარებლებს. თუმცა, მანქანის დაქირავების მსურველი, თითქმის ყველა შემთხვევაში შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს 21 წელზე მეტის, თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი ან პირადობა), უნდა ჰქონდეს მართვის, სულ მცირე, ორწლიანი გამოცდილება.

უფრო დეტალური ინფორმაციის გასარკვევად, bpn.ge კომპანია Race-ის მენეჯერს ვახტანგ მიქაბერიძეს გაესაუბრა. კომპანია Race უკრაინაში 8 წელია არსებობს. საქართველოში კი მისი ფილიალი, დაახლოებით, ოთხი თვის წინ გაიხსნა. კომპანიას ასევე აქვს ფილიალები დსთ-ს ქვეყნებში.

საქართველოში კომპანიას ორი ოფისი აქვს, თბილისსა და ბათუმში. ასევე იგეგმება ოფისის გახსნა ქუთაისშიც. კომპანიის მენეჯერის თქმით, მათი სერვისი ჯერ მხოლოდ ავტოგაქირავებას მოიცავს, თუმცა, იგეგმება ტურისტული სერვისის დამატებაც. ამ ეტაპზე კომპანიის მფლობელობაში 10 მანქანაა. კომპანია ავტომობილებს მათი კატეგორიის მიხედვით აქირავებს. ავტოგაქირავების ფასი 35-50 დოლარამდე მერყეობს. „მანქანის დაქირავება ყველაზე იაფი 35 დოლარია 24 საათის განმავლობაში, ანუ მანქანა მსურველს მიჰყავს მინიმუმ 24 საათით. თუ უფრო ადრე დააბრუნებს, ეს მისი გადასაწყვეტია. ყველაზე ძვირი კი 50 დოლარია 24 საათის განმავლობაში. ყველაზე იაფფასიანი გვყავს მარჯვენასაჭიანი „მიცუბიშ კოლტი", ყველაზე ძვირიანი მანქანა კი BMW 650 კაბრიოლეტია", — აღნიშნავს ვახტანგ მიქაბერიძე.

მისივე თქმით, მსურველს ავტომობილის ერთი წლით დაქირავებაც შეუძლია. ასეთ დროს ძალიან დიდი შეღავათები და ფასდაკლებები კეთდება. მომხმარებელი თანხას ყოველთვის იხდის ნაღდი ანგარიშსწორებით ლარში. გარდა ქირისა, მან უნდა დატოვოს საგირავნო დეპოზიტი: 200-დან 400 დოლარამდე მანქანის კლასის მიხედვით. ეს თანხა მომხმარებელს ავტომობილის დაბრუნებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნდება უკან იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი კომპანიაში იმავე მდგომარეობაში დაბრუნდება, როგორიც წაიყვანა.

კომპანია Race-ის მენეჯერის თქმით, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში აღნიშნულ სერვისზე მოთხოვნა მაღალია. განსხვავებული სურათია საქართველოში, სადაც ავტომობილების რაოდენობამ მიმდინარე წელს 900 ათასს გადააჭარბა. „ამ ყველაფრის ფონზე, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ბიზნესი ეტაპობრივად განვითარდება, ქართველების მხრიდან მოთხოვნა ავტოგაქირავებაზე მაღალი არ არის. ჩვენი მომხმარებელი ძირითადად, უცხოელი ტურისტები არიან და მეტწილად ეკონომკლასის მანქანებს ქირაობენ. ქართველებს კი ყველაზე ხშირად BMW-სა და „მერსედესის" მარკის ავტომობილებზე აქვთ მოთხოვნა", აღნიშნავს ვახტანგ მიქაბერიძე. საინტერესო ფაქტია, რომ აღნიშნულ მანქანებს, ხშირად ახალგაზრდები ითხოვენ გასართობად და „დროის გასატარებლად".



კომპანია Race-ის მენეჯერი იმედოვნებს, რომ ავტომანქანის დაქირავების სერვისი მომავალში ქართველების მხრიდან უფრო მოთხოვნადი გახდება. მანამდე კი მოთხოვნა სერვისზე სეზონურია და ტურისტების რაოდენობაზეა დამოკიდებული: „ზაფხულში ძალიან კარგი მუშაობა გვქონდა, ავტომობილები სულ გაქირავებული იყო. იყო შემთხვევები, როცა არ გვყოფნიდა ჩვენი ავტომანქანები. წელს ძალიან ბევრი ხალხი ჩამოვიდა საქართველოში. თუ სეზონი ყოველთვის ასეთი დატვირთული იქნება, ეს ჩვენს კომპანიას წარმატებას მოუტანს", — განმარტავს მიქაბერიძე.

ანალოგიური სერვისის მქონე კომპანია Geo Rent Car-ში აღნიშნავენ, რომ ქართველები, ძირითადად, ეკონომკლასის მანქანებს („გოლფისა" და „მერსედესის" მარკის ავტომანქანები) ქირაობენ და მათ ქალაქგარეთ გასასვლელად იყენებენ. ასევე არის შემთხვევები, როცა მომხმარებელი მანქანას იმ შემთხვევაში ქირაობს, როცა საკუთარი მანქანა უზიანდება.

**თამარ კორკოტაშვილი**

## ჩვენი კარაბადინი

# სიცოცხლე დრაჟეს გარსში

## როგორ აღმოაჩინეს პირველი ვიტამინები?

**კარგი მხედველობისთვის, იმუნიტეტისთვის, სტრესის დაძლევისთვის, მომავალი დედებისთვის, პატარებისთვის, იმათთვის, ვინც 50 წელს გადააბიჯა... როგორი ვიტამინური პრეპარატი აღარაა დღეს აფთიაქების თაროებზე! არც კი გჯერა, რომ სულ რაღაც ასი წლის წინათ ვიტამინების არსებობის შესახებ იცოდნენ მხოლოდ სამეცნიერო ლაბორატორიებში.**

### მარტივი ამოხსნა

**აზიაში დაავადება ბერი-ბერის (მოდის სინგალური სიტყვა „ბერი"-დან და სისუსტეს ნიშნავს) წყევლას ეძახდნენ და გადამდებ სენად მიიჩნევდნენ, სხვაგვარად როგორ შეეძლო მას „ეცელა" ამდენი ადამიანი ერთბაშად. XIX საუკუნეში მხოლოდ იაპონიაში დაახლოებით 50 ათასი კაცი იღუპებოდა ყოველწლიურად.** დაავადებულები ხდებოდნენ ძალიან გამხდრები, სუსტდებოდნენ, იტანჯებოდნენ ქოშინით, შემდეგ კი მათ სულაც დამბლა ანადგურებდა. ამ უცნაური სენისკენ იყო მიპყრობილი მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება. ისინი მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ მოენახათ დაავადების წყარო— მაგრამ უშედეგოდ.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 1911 წელს პოლონელმა ბიოქიმიკოსმა კაზიმირ ფუნკმა არ გამოყო ნივთიერება, რომელსაც შეეძლო განეკურნა დაავადება ბერი-ბერი. თავისი ქიმიური სტრუქტურით იგი განეკუთვნებოდა ამინებს, ესე იგი აზოტის შემცველ შენაერთებს. ამიტომ უწოდეს მას ვიტამინი-ამინი, სიცოცხლეს რომ იძლეოდა.

ფუნკმა იგი ყველაზე ჩვეულებრივი ბრინჯის გადანაჭრებისგან მიიღო. და ექიმებისთვის უცბად ცხადი გახდა: საქმე სულაც არ ყოფილა ინფექციაში, არამედ იმაში, რომ დაავადებულები იცავდნენ დაუბალანსებელ რაციონს.

### შენ ისა ხარ, რასაც ჭამ

**აზრს იმის შესახებ, რომ საქმე საკვებშია, გამოთქვამდნენ ხოლმე ადრეც. ფუნკი შემთხვევით როდი სწავლობდა სწორედ გადანაჭრებს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში მეორე მეცნიერმა — ექიმმა-პათოლოგმა ჰოლანდიიდან ქრისტიან ეიკმანმა — შენიშნა, რომ ბერი-ბერი აზიანებს იმათ, ვინც უპირატესად თეთრ ბრინჯს ჭამს (აზიაში ის ყველაზე ხელმისაწვდომი საკვები იყო). მათ კი, ვინც უპირატესობას ანიჭებს ყავისფერ, გაუწმენდავს, იგი არა აქვთ.** მან ივარაუდა, რომ ბრინჯის ჩენჩოში არის რაღაც, რომელიც დაავადებას არ აძლევს განვითარების საშუალებას.

მოგვიანებით სწორედ ეიკმანმა, და არა ფუნკმა, მიიღო ნობელის პრემია იმის აღმოჩენისთვის, რომ მთელი რიგი დაავადებისთვის წყარო შეიძლება ავიტამინოზი გახდეს. და მაინც ვიტამინი B (სწორედ იგი აღმოაჩინა პოლონელმა ბიოქიმიკოსმა) რომ არ ყოფილიყო გამოყოფილი, ისტორია სხვაგვარად ჩამოყალიბდებოდა.

ამის შემდეგ აღმოჩენები ერთი-მეორეს მიჰყვნენ. 1913 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა მიიღეს ვიტამინი A — კარაქისა და კვერცხის გულისგან. 1920 წელს ვირთევზას ღვიძლის ცხიმისგან გამოყვეს ვიტამინი D. 1923 წელს მეცნიერებმა დაადგინეს ვიტამინ C-ს ფორმულა. უკანასკნელი დღეს ცნობილი ვიტამინებიდან მიიღეს 1948 წელს.

ეს ნამდვილი რევოლუცია გახდა. აღმოჩნდა, რომ სურავანდს, პელაგრას, ქათმის სიბრმავეს შეიძლება გავუსწორდეთ წამლების გარეშე, მხოლოდ საკვების დახმარებით. და კიდევ გასაგები გახდა, რომ — გამძლარი რომ ხარ — ყოველთვის როდი ნიშნავს იყო ჯანმრთელი: მნიშვნელობა აქვს იმას, თუ კერძოდ რას მიირთმევ.

### გავხდეთ ძლიერი და ამტანი

**დღეს ცნობილია, რომ ვიტამინები ორგანიზმის ყველა სისტემაზე მოქმედებს. უიმათოდ არ იქნება მყარი იმუნური დაცვა, კუნთოვანი დაცვა, მაგარი ძვლები, ცუდად იმუშავებს ტვინი და გული, დროზე ადრე დაიფარება ნაოჭებით კანი... XX საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი რამ ამათგან უცნობი იყო. მაგრამ ის ინფორმაცია, რომელიც ექიმებს ჰქონდათ, საკმარისი იყო, რომ მოგვეწოდებინა ადამიანებისათვის — ყურადღება მიაქციონ ვიტამინების მოხმარებას.**

ჯერ კიდევ 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში გამოუშვეს პლაკატების სერია, რომლებიც მარტივად და ხელმისაწვდომად გვიჩვენებდნენ, რამდენი ვიტამინია პურში, ბოსტნეულში, ხილსა და კენკრაში, რძის პროდუქტებში. ოცი წლის შემდეგ კი პლაკატებზე გამოჩნდა ბუშტები დრაჟით, აბებითა და სიროფებით. სურათს თან ახლდა წარწერა: „ვიტამინები გვეხმარება გავხდეთ ჯანმრთელები, ძლიერები, ამტანები". ასე აწარმოებდნენ სააფთიაქო პრეპარატების პოპულარიზაციას. სსრ კავშირში მოსახლეობის ვიტამინიზაციას აქცევდნენ ყურადღებას. რომელ საბჭოთა ბავშვს არ ახსოვს თევზის ზეთის გემო, რომელიც მდიდარი იყო D ვიტამინით?

### წამლების ნაცვლად?

**და მაინც მთავარი ვიტამინური ბუმი მთელ მსოფლიოში დაიწყო არა 30-იან და 50-იან წლებში, არამედ 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ნობელის პრემიის ლაურეატმა ლაინუს პოლინგმა გამოუშვა თავისი პირველი მონოგრაფია, რომელიც ასკორბინის მჟავას ეძღვნებოდა. მასში ის წერდა, რომ ვიტამინი C, თუ მას სუპერდოზებში მივიღებთ, გვიცავს გაციებისა და გრიპისგან. თუ ადამიანი უკვე გახდა ავად, ასკორბინი დაეხმარება მას უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდეს.**

წიგნი მალე ბესტსელერი გახდა, ხოლო ვიტამინ C-ს გაყიდვა ოთხჯერ გაიზარდა — ზოგიერთი აფთიაქი კი უბრალოდ ვერ აუდიოდა კლიენტების შემოტევას. მონოგრაფიის გამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ პოლინგის რჩევებს დაახლოებით 50 მილიონი ამერიკელი ასრულებდა.

შემდეგ კი ასკორბინზე მოდა მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ვიტამინი C დღემდე, ალბათ, ყველაზე პოპულარულია და დიდი მოთხოვნებიც აქვს. როდესაც ჰიპოვიტამინოზებზე საუბრობენ, ყველა, უწინარეს ყოვლისა, იხსენებს სწორედ ასკორბინის მჟავას, თუმცა, გვაქვს ვიტამინ C და B ჯგუფის ვიტამინების უკმარისობა. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ პოლინგის თეორიას მალე გვირგვინი ახადეს. დღეს ცნობილია, რომ ვიტამინი ამცირებს გაციების დროს ბავშვებში ერთი დღით, დიდებში ნახევარი დღით — ეფექტი სულაც არ არის ისეთი, როგორსაც მეცნიერი გვპირდებოდა. სხვათა შორის, ასკორბინს უნიშნავენ დღესაც. საქმე ისაა, რომ, როდესაც ინფექციას წინააღმდეგობას უწევს, ორგანიზმი ვიტამინს ხარჯავს უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვეულებრივად, და იგი უნდა აღადგინო. ოღონდ გონივრული ოდენობით! მივიღოთ ვიტამინ C-ს 1-2 გრამი, როგორც პოლინგი გვირჩევდა, უბრალოდ უაზრობაა. მოზრდილი ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში ითვისებს სულ დაახლოებით 60 მილიგრამს, დანარჩენი გამოდის შარდთან ერთად.

დღეს ვიტამინები აღარ პოზიციონირდება, როგორც წამალი. ისინი კი არ გვკურნავენ, არამედ აძლევენ ორგანიზმს საშუალებას იფუნქციონიროს სრულფასოვნად. სხვათა შორის, არის შემთხვევები, როდესაც იმისთვის, რომ გამოვჯანმრთელდეთ ვიტამინოთერაპიის გარეშე, ძნელად რომ შესაძლებელი იყოს. მაგალითად, ზურგში ნერვული მოშლილობისა და ტკივილების დროს ზოგჯერ ადამიანებს უნიშნავენ B ჯგუფის ვიტამინებს. ვიტამინი D შეუცვლელია როგორც პროფილაქტიკაში, ისე რაქიტისა და ოსტეოპოროზის მკურნალობის დროს. ვიტამინ E-ს ხშირად უწერენ ქალებს, ვისაც დარღვეული აქვს მენსტრუალური ციკლი.

რაც შეეხება კომპლექსურ პრეპარატებს, რომლებშიც შედის ერთბაშად რამდენიმე ვიტამინი, დრო და დრო ისინი პრაქტიკულად აუცილებელია ყველასთვის. განსაკუთრებით როდესაც ცივა, მოღრუბლული ამინდია, რაციონში კი არ გვყოფნის ბოსტნეული და მთლიანი მარცვლეული.

ЗДОРОВЬЕ



## კადრი



## კუჭი ციფრებსა და ფაქტებში

**კუჭი — ესაა საკვების გადამმუშავებელი ტრაქტის ნაწილი, სრული კუნთოვანი ორგანო, რომელიც საყლაპავ მილსა და თორმეტგოჯა ნაწლავს შორის მდებარეობს.**

**500 მილილიტრი — მოზრდილი ადამიანის ცარიელი კუჭის მოცულობაა, ავსების დროს მან შეიძლება 4 ლიტრს მიაღწიოს.**

**კუჭქვეშა ჯირკვალი ერთი დღე-ღამის განმავლობაში გამოიმუშავებს დაახლოებით 2 ლიტრ კუჭის წვენს.**

**ადამიანის კუჭის წვენი იმდენად აგრესიულია, რომ ერთ კვირაში შეუძლია სრულად გაადნოს საპარსავი ფირფიტა.**

**კუჭი ყოველ 2 კვირაში წარმოქმნის ახალ ქსოვილს თავისსავე გადამუშავებელი კანის ნაცვლად.**

**კუჭის მიდამოებში ნებისმიერი ტკივილის გაჩენის დროს რაც შეიძლება მალე უნდა მივმართოთ ექიმს.**

**1,5-2,5 PH — კუჭის ნორმალური სიმჟავეა, დაახლოებით როგორც ლიმონის წვენი.**

**კუჭში გადამუშავებული საკვები მთლიანად ერთბაშად არ გადადის ნაწლავში. იგი მცირე დოზებით გადადის, ნაწილაკების საშუალო ზომა მასში 1-2 მილიმეტრია. თუ საკვები ცუდად დაღეჭეთ, საკვების გადამუშავება ჭიანურდება საათობით.**

**3,5-4 საათის შემდეგ საკვები ტოვებს კუჭს, ასე რომ 3-4-ჯერ კვების დროს ადამიანის კუჭი საკვების მორიგი მიღების დროს არის თითქმის ან მთლიანად ცარიელი.**



**საჭმელი რომ ჭამოთ თავდაყირამაც კი, საკვები მოხვდება კუჭში პერისტალტიკის წყალობით — ესაა საყლაპავი მილის კუნთების ტალღისებრი შემცირება.**

**ადამიანის წონა არაა დამოკიდებული კუჭის მოცულობაზე. ხშირად გამხდარ ადამიანს კუჭი შეიძლება უფრო დიდი ჰქონდეს, ვიდრე მსუქანს.**

**მოზრდილი მოსახლეობის 5 პროცენტს აწუხებს კუჭის წყლულოვანი დაავადება.**

**კუჭში ყველაზე დიდხანს გადამუშავდება ღორის ხორცი, ყველაზე სწრაფად კი — ხილი, ბოსტნეული, წვენები და ბულიონი.**

**როდესაც ვწითლდებით, ჩვენი კუჭიც წითლდება.**

**1868 წელს გერმანელმა ექიმმა ადოლფ კუსმაულმა პირველად ჩაიხედა ცოცხალი ადამიანის კუჭის შიგნით ენდოსკოპის დახმარებით. დღევანდელი ენდესკოპებისგან განსხვავებით, კუსმაულის ინსტრუმენტი არ ყოფილა მოქნილი, ასე რომ მისი მართვა იყო ძნელი.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**— უკვე მიდიხართ? გარეთ ძალიან წვიმს. იქნებ ჩვენთან გევახშმათ? — ეუბნება დიასახლისი სტუმარს.**

**— რა გაქვთ ვახშმად?**

**— მოხარშული მაკარონი.**

**— იცით რა, გარეთ არც ისე ძალიან წვიმს.**

* * *

**ლენა ჩვენი ფირმის ერთგვარი ხატია. მისი დანახვისას პირჯვრის გადაწერა მოგინდება კაცს.**

* * *

**— მას ყავა შევთავაზე, ის ძუძუებზე მომაშტერდა... იქნებ რძიანი ყავა უნდოდა?**

* * *

**— ექიმო, განვიკურნები? — ეკითხება ავადმყოფი.**

**— ეს მეც ძალიან მაინტერესებს...**

* * *

**— ბაბა, მითხარი, სიძევ, მე რომ იმ ხიდიდან მდინარეში გადავვარდე, რას იზამ?**

**— რას და, ჩემო სიდედრო, თავქუდმოგლეჯილი გავიქცევი მეზობელ სოფელში დახმარების სათხოვნელად...**



**— მაგრამ ყველაზე ახლომდებარე სოფლამდე ხომ 25 კილომეტრია?!.**

**— მერე რა, თქვენი გულისთვის უფრო შორსაც გავიქცევი...**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24